სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 29 ივნისი 2006 №147 (2769) ფასი 50 თეთრი

რალფ მინგეს ბუნდესრწმენა და ფრანგული სიურპრიზი

...საფრანგეთმა აღმაფრთოვანა. ესპანეთთან მატჩისას სტადიონზე ვიყავი და ფრანგებმა დაამტკიცეს, რომ ერთ-ერთი უძლიერესთაგანნი არიან და დიდი ტაქტიკური გამოცდილებაც გააჩნიათ. მათ თუ ასე გააგრძელეს, შესაძლოა, ფინალშიც მოხვდნენ.

...უკრაინის მეოთხედფინალში გასვლა ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკრაინა მერვედფინალში იმ შვეიცარიას შეხვდა, რომელიც ძლიერ გუნდად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

...იტალიამ ავსტრალიასთან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მარტო ტაქტიკურად კი არა, ფსიქოლოგიურადაც ძლიერია. მათ ათი კაციანაც მოუგეს საკმაოდ ყოჩაღ მეტოქეს.

ეს რალფ მინგეს მოსაზრებებია ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებზე. მსოფლიოს ჩემპიონატის სამი მეოთხედფინალისტი და ამათგან, სულ მცირე, ერთი ნახევარფინალისტი: ჩვენი გუნდის გერმანელმა მწვრთნელმა კარგად იცის, რა ბრძოლები ეწყებათ ქართველებს სექტემბერში.

„სარბიელთან“ ინტერვიუში რალფ მინგე სხვა სამუნდიალო ამბებზეც საუბრობს და სამშობლოს ჩემპიონობისაც ეიმედება...

მოსალოდნელი იტალია და მოულოდნელი უკრაინა გერმანელის ქართული თვალით

იტალიამ ფეხბურთი სარეცხ მანქანაში შეაგდო

დიდი სასამართლო დიდმა დრამამ დაამძიმა



პესოტომ ცხოვრების კრიალოსანი გადაწყვიტა

ამაოდ ჩათვლილი წლები, თუ ქალი?

დღეს რომის ოლიმპიური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში სასამართლო პროცესი დაიწყება. ბრალდებული იმდენია, რომ პროცესი დაახლოებით ათ დღეს გასტანს, ვერდიქტს კი 7-9 ივლისს უნდა ველოდოთ. იტალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი სკანდალი „იუვენტუსს“, „მილანს,“ „ფიორენტინას“ და „ლაციოს“ შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ.

„იუვენტუსის“ ახალდანიშნული მენეჯერი ჯანლუკა პესოტო ისეთ დეპრესიაში ჩავარდა, რომ გუშინწინ კლუბის ოფისში მისული კრიალოსნით ხელში ფანჯრის რაფაზე ავიდა და იქიდან გადახტომით თავის მოკვლა სცადა.

მისი ცოლის, რეანას თქმით, ამ დრამამდე მან და ჯანლუკამ იჩხუბეს, თუმცა, ეს უსიამოვნება არანაირად არ უნდა უკავშირდებოდეს მომხდარსო.

როგორც ჩანს, პესოტომ, რომელმაც 11 წელი გაატარა „იუვენტუსში“, კლუბის სამზარეულოში ჩახედვის შემდეგ...

ექიმების თქმით, პაციენტის მდგომარეობა ჯერაც კრიტიკულია...

ეჭვმიტანილნი: ლუჩანო მოჯი, სილვიო ბერლუსკონი და ადრიანო გალიანი

გოლის ინსტინქტი

ის გასუქდა, თავს გააქნევს ხოლმე, ცალი ფეხი თითქმის აღარ აქვს, ველარავის ასწრებს სირბილში, ველარ ტრიალდება... ეგებ დაბრმავდა კიდეც? მაგრამ ის ბრმაც ითამაშებს: ასეთებისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ხედავენ თუ არა. ისინი გრძნობენ. კარგა ხანია, რონალდო ინსტინქტებით თამაშობს და ის მაინც თამაშობს. მაინც გაიტანა ის თავისი სარეკორდო გოლები, მაინც რჩება ძირითად შემადგენლობაში, მაინც ბრაზობს ხოლმე, როდესაც ცვლიან. იმიტომ, რომ ის მაინც რონალდოა. ის გენიალური იყო და ახლაც გენიალურია, იმიტომ, რომ ის, რასაც რონალდო აკეთებდა წლების განმავლობაში, არ გამქრალა. შეუძლებელია, გამქრალიყო და როცა ახლა ასეთი დგას მოედანზე, ის ყველაფერი თავისი გარს არტყია. ამიტომ მაინც ისაა. მაინც უფრთხიან, მაინც სდევენ და ისიც დგას, იცდის. არც ფიქრობს, ინსტინქტია. და გამოვა ხოლმე რაღაც ძალიან ლამაზი და საჭირო.



რონალდო (ლუის ნაზარიო დე ლიმა)

დაიბადა 1976 წლის 22 სექტემბერს

ამჟლუა: თავდამსხმელი. სიმაღლე: 183 სმ; წონა: 82 კგ

ჯლუბები

1993 ---------- კრუზეირო(ბრაზილია)
1994-1996 ---------- პსვ ეინდჰოვენი(ჰოლანდია)
1996-1997 ---------- ბარსელონა (ესპანეთი)
1997-2002 ---------- ინტერი (იტალია)
2002 წლიდან ---------- რეალი (ესპანეთი)

ბრაზილიის ნაკრებში 96 თამაში, 62 გოლი

გერდ მიულერი: რონალდო დონეა

2006 წლის 27 ივნისამდე გერმანული ფეხბურთის ლეგენდა გერდ მიულერი პირველი იყო მუნდიალებზე გატანილი გოლებით — მან ეს 14-ჯერ შეძლო, სამშაბათს კი მისი რეკორდი ბრაზილიელმა რონალდომ დაამხო, კიჭას ახალა შეუძლია, 15 მსოფლიო გოლით იამაყოს. ამის შესახებ გერდ მიულერს FIFA.COM-ის ჟურნალისტი გაესაუბრა



— ჰერ მიულერ, რონალდომ განასთან მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეთხუთმეტე გოლი შეაგდო და თქვენი რეკორდი დაამხო...

— თავიდანვე ცხადი იყო, რომ რონალდო გერმანიაში იმ ორ თუ სამ გოლს უპრობლემოდ გაიტანდა, რაც ჩემი რეკორდის განმეორება-დამხობისთვის იყო საჭირო. ასე, რომ, ეს არ გამკვირვებია.

— აქამდე ორ მუნდიალზე გატანილი 14 ბურთით „მეფედ" თქვენ ითვლებოდით...

— ადრეც მითქვამს, რომ მუნდიალების მთავარმეგოლე, წესით, ჟიუსტ ფონტენია. მან ერთ ჩემპიონატზე 13 ბურთი შეაგდო, მე კი 14 ორ ტურნირში გავიტანე. ფონტენი პირველია, თუმცა რონალდომაც დაამტკიცა თავისი ოსტატობა. ბოლოს და ბოლოს, მესამე ჩემპიონატში მონაწილეობს და მსგავსი ფორვარდისგან უცნაურიც იქნებოდა, რეკორდსმენი არ გამხდარიყო. ამდენი ხანი მაღალ დონეზე თამაში დღევანდელ ფეხბურთში ძალიან ძნელია. ჩემი აზრით, რონალდო სრულყოფილი თავდამსხმელია.

— ბრაზილიელს გერმანიამდე ზედმეტი წონის გამო მკაცრად აკრიტიკებდნენ. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ბრაზილიის ამ ნაკრებს ნამდვილად სჭირდება რონალდო. ბრაზილიას წინა ხაზზე გამორჩეულად სწრაფი ფეხბურთელები არ ჰყავს, რონალდო კი ამ მხრივ გამონაკლისია. მართალია, ჯგუფის პირველ ორ მატჩში კარგად ვერ ითამაშა, მაგრამ უკვე იაპონიასთან ხუთი გოლი მაიცნ უნდა შეეგდო.

— გერმანია 2006-ის დიდი ნაწილი უკვე ისტორიაა. მსოფლიოს ჩემპიონატზე რას გვეტყვით?

— საფეხბურთო თვალსაზრისით უკმაყოფილო ვარ, რადგან ძალიან ბევრი ცუდი თამაში ვნახე. თუმც სასიამოვნოდაც ბევრმა გამაკვირვა. მაგალითად, გერმანიის ნაკრების თამაშმა და ატმოსფერომ, რომელიც სტადიონებზე სუფევს.

— გერმანელთა თამაშში ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ?

— განსაკუთრებით დაცვამ. მუნდიალისწინა ამხანაგურ მატჩებში უკანა ხაზი ყველაზე მეტად იწვევდა შეშფოთებას. ახლა კი სამი თამაშია, გერმანიის ნაკრებს ბურთი არ გაუშვია. თუმცა მეტოქეებიც არ შეგვხვდნენ ძლიერნი. შვედეთისგან სუსტ თამაშს არ ველოდი... არგენტინასთან მეოთხედფინალი კი გაცილებით რთული იქნება, სამხრეთამერიკელებს ხუთი უმაღლესი დონის მოიერიშე ჰყავთ. უთუოდ ბრწყინვალე ბრძოლის მოწმენი გავხდებით.

— ეროვნულ გუნდში თქვენს მემკვიდრეებს როგორ აფასებთ?

— თავდასხმის ხაზი ძალიან კარგია. მიროსლავ კლოზემ ბრემენის „ვერდერშიც" შესანიშნავად ითამაშა და ახლა მუნდიალზეც ჯადოსნურად ბურთაობს. ლუკაშ პოდოლსკიც მაღალ შეფასებას იმსახურებს. ეს ორი ფორვარდი ყველაზე საშიშია მეტოქეებისთვის.

რონალდოს მე-15 გოლამდე გერდ მიულერის ის მე-14 იყო, რომელმაც 1974 წელს გერმანია ჰოლანდიის ძლევით მეორედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი

რონალდოს ყველა გოლი მსოფლიოს ჩემპიონატებზე

1998 წელი

ჯგუფური ეტაპი. 16 ივნისი. ნანტი. „ლა ბოჟუარი“
ბრაზილია 3:0 მაროკო
1:0 რონალდო (9)
მერვედფინალი. 27 ივნისი. პარიზი. „პარკ დე პრენსი“
ბრაზილია 4:1 ჩილე
3:0 რონალდო (45პ), 4:1 რონალდო (69)
ნახევარფინალი. 7 ივლისი. მარსელი. „სტად ველოდრომი“
ბრაზილია 1:1(პენ.4:2) ჰოლანდია
1:0 რონალდო (46)

2002 წელი

ჯგუფური ეტაპი. 3 ივნისი. ულსანი. „მუნსუ ფუტბალ სთედიუმი“
ბრაზილია 2:1 თურქეთი
1:1 რონალდო (50)
ჯგუფური ეტაპი. 8 ივნისი. სეოგვიპო. „ჯეჯუ უორლდ ქაფ სთედიუმი“
ბრაზილია 4:0 ჩინეთი
4:0 რონალდო (55)
ჯგუფური ეტაპი. 13 ივნისი. სუვონი. „უორლდ ქაფ სთედიუმი“
კოსტა რიკა 2:5 ბრაზილია
0:1 რონალდო (10), 0:2 რონალდო (13)
მერვედფინალი. 17 ივნისი. კობე. „ვინგ სთედიუმი“
ბრაზილია 2:0 ბელგია
2:0 რონალდო (87)
ნახევარფინალი. 26 ივნისი. საიტამა. „საიტამა სთედიუმი“
ბრაზილია 1:0 თურქეთი
1:0 რონალდო (49)
ფინალი. 30 ივნისი. იოკოჰამა. „ინტერნეიშენლ სთედიუმი“
გერმანია 0:2 ბრაზილია
0:1 რონალდო (67), 0:2 რონალდო (79)

2006 წელი

ჯგუფური ეტაპი. 22 ივნისი. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“
იაპონია 1:4 ბრაზილია
1:1 რონალდო (45), 1:4 რონალდო (81)
მერვედფინალი. 27 ივნისი. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“
ბრაზილია 3:0 განა
1:0 რონალდო (5)

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად
დროის
წამობრივი
ალრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღაი-ღაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის პიმნები.

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ეთაგვლია ჯეოსელის

www.geocell.ge

გიო ახვლედიანის სვეტეული

თითქმის დამთავრდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონი, უკვე ყველა იქ არის.

ვირტუალურ ამბავში, ვთქვათ, უკრაინის მაგივრად ესპანეთი რომ იყოს, ანდა, როგორმე ჩეხეთი რომ ჩაგვეტენა, მგონი, დიდი დანაშაული არ იქნებოდა. თუმცა რაღა დროს საბრალო და თავდამსხმელებდამტვრეული ჩეხეთია, საფრანგეთმა გამოიღვიძა.

მე თუ მკითხავთ, არც სძინებია. ლუის არაგონესი კი ამბობს, მსაჯ როზეტის შეცდომამ დაგვსაჯაო, ჯარიმა არ იყო და ამიტომ მას მოყოლილი გოლიც უსამართლო გამოვიდაო, მაგრამ ესპანელებს ისვე დაემართათ, რაც ყოველთვის ემართებათ: სამართლიანად თუ უსამართლოდ, მთავარი თამაში წააგეს.

ამ ჯერზე არაგონესმა თქვა, ახალგაზრდები არიან ჩემი ბიჭები, ყველაფერი წინა აქვთო, საფრანგეთი კი მძიმე მეტოქე გამოდგაო.

რაც საფრანგეთი ილანძღა ამ ორ კვირაში.

რაც ესპანეთს ქება ხვდა წილად.

მიდგა საქმე საქმეზე, მიაწვა შუბლი შუბლს და... ესპანელებს ისე დაემართათ, ძველი ნათქვამი რო გახლავს: ვითარცა კირჩხიბი ვერა ვალს სწორად... არ გამოდის. არ გამოდის და მორჩა. რატომ? ადრე ამბობდნენ, კატალონიელ, კასტილიელ, გალისიელ, ბასკ ფეხბურთელებს საერთო საფეხბურთო ენის გამონახვა უჭირთო. სწორია. სსრკ გვახსოვს. ახლა ამბობდნენ, მოხუცმა არაგონესმა ეს პრობლემა მოხსნა და ესპანეთიც ამ მხრივ დღითიდღე იცვლებაო. აქ უფრო ფეხბურთშია საქმე. ესპანელები, რაც უნდა მაგრები იყვნენ, გაჭირვების ჟამს ძალიან ამარტივებენ თამაშს, როგორღაც იდღაბნებიან.

ფრანგები კიდევ წინ მიიწევენ.

ეს ანრი, მგონი, განგებ იდგა იმხელა თამაშგარეებში, პასი კი სხვა მხარეს კეთდებოდა. ასეთი რამე ორჯერ-სამჯერ მოხდა. მგონი განგებ შვებოდნენ, პასიურში მდგომი კაცით აბნევდნენ. მსგავსი რამეები ანრის პრემიერლიგაშიც არაერთხელ გაუკეთებია, ოღონდაც იქ თვითონ ამოიპარებოდა და იღებდა ბურთს. ახლა, მგონი, რაღაც გაუმჯობესებული ვარიანტი გამოვიდა. საინტერესო მატჩის მომსწრენი ვართ, როგორც თბილისელები იტყოდნენ.

საერთოდ, თბილისში ფეხბურთელის ამოჩემება და ლანძღვა იციან. მიზეზი სულ სხვადასხვაგვარია: სიმაღლე, ლამაზი სახე, თამაშის მანერა, ცოლთან ურთიერთობა. კრაუჩი, პიპო ინძაგი, რა ვიცი, ათასი ვინმე. ამოიჩემებენ და მორჩა. ამაში გარკვევა მოსაწყენია. როგორც დავატყვე, ერთ-ერთი ასეთი ამოჩემებული რიბერი გახლავს. მთლად კრაუჩის დონეზე ვერა, მაგრამ გვარიანად აცილებდა და ალბათ იმიტომ. მე თუ მკითხავთ, ძალიანაც მომწონს ეს რიბერი. მთლად მუშკეტერობას თუ არა, კარდინალის გვარდიელობას მაინც გასწევს: აქაც არიან კაი ტიპები, ბიკარა, ბერნაჟუ, მგონი, ჟუსაკი... თუმცა,რას ვყვები? ვიღას ახსოვს ეს ამბები, ანდა ახალმა ვინღამ იცის?

მოკლედ თქმა სჯობს, ამ დღეებში რიბერიმ „არსენალისა“ და „მანჩესტერის“ წინადადებები უარყო.

სხვანაირი ბიჭი ჩანს, ცოტა შეშლილი, ვითომ ტარანტინოს კინოში იყოს და არა მინდორზე.

ზი-ზუუუუ...

მეტი არაფერი და პატრიკ ვიეირა, ეს მსოფლიოს ყველაზე მაგარი კურტნის მუშა.

ერთი ის ვიცი, რომ ბრაზილიას სირბილი მოუწევს. ემერსონ-ვიეირას შეტაკება, ტურამი-კაფუს კაი ბებრული ომი მზადდება. დამთავრდა ჩემპიონატი და რაღაცა მართლა დიადი, მართლა ხარისხიანი და მართლა თავზეხელაღებული არ უნდა მოხდეს?

ამ ჩემპიონატის თავისებურება ის არის, რომ შეგიძლია, საერთოდ არ ირბინო: იარო, იბღლარძუნო, კარგახანს ელოდო ცაში ავარდნილ ბურთს და შენს შემსრულებელთა თითო-ოროლა გამოძრავების ხარჯზე რვა საუკეთესოში მოხვდე. ასე წამოვიდა ბრაზილია, რომელიც ეთამაშა ავსტრალიას, იაპონიას და განას. თუმცა, ბრაზილიამ რაღაცა მაინც ითამაშა. და ინგლისი? გუნდი სადღაც არის, დაუდგენელ ადგილას — პარაგვაი, ტრინიდადი, ეკვადორი და რვა საუკეთესოში ხარ. ხო, შვედები და ხორვატები არ გამოგვრჩეს. ხო, ყველაზე მაგარი ის არის, რომ თავიანთ გაუთავებელ ინტერვიუებში ინგლისელი ვარსკვლავები კმაყოფილებას აფრქვევენ. ერიკსონს კი აქებენ: იმდენად მრავალფეროვან ტაქტიკებს იგონებსო, რომ მეტი აღარ შეიძლებაო. რვეულები სავსე ჰქონია.

აი, ახლა მრავალ მოგონილთაგან ერთს მოგახსენებთ: ეკვადორთან სახელოვანი თამაშის წინ შვედს ბექემისთვის უთქვამს, შენ მარჯვენა მცველი იქნებიო, შენ წინ კი ყრმა ლენონი ითამაშებსო, ანუ შენს ადგილზეო. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ გაზაფხულიდან ინგლისში ხშირად გაისმის: კაპიტნობა ჯონ ტერის, მარჯვენა ფრთა კი აარონ ლენონს, ბექჭმა კი თავის მილიონებს მიხედოსო.

ბექემი მცველობის ამბავს წაუხდენია, მე რა ვიცი მცველობაო, ეგ ჩემი ძმაკაცის გარი ნევილის ადგილიაო, ანდა ჯეიმი კარაგერისაო. არაო, უშენოდ გუნდი არ ივარგებსო და ლენონიც მინდაო. ბოლოს გადაუფიქრია. ლენონი მხოლოდ ხუთი წუთით გამოჩნდა. ერთადერთი მორბენალი კაცი სირბილჯჯგურით განთქმულ გუნდში. რუნის თუ არ ჩავთვლით.

სხვა ამბებიდან ცნობილი ის არის, რომ ტორსტენ ფრინგსს უთქვამს, რომან რიკელმეს მეურვე არ ეყოლებაო.

გერმანია — არგენტინა. ამ ჩემპიონატის ნახევარი და, მგონი, მეტიც ამ თამაშში დევს. რატომღაც ასე მგონია. გერმანიაში კი სხვა გაჭირვებაც გამოჩენილა, ჩამოსასხმელი ლუდის მწარმოებლები ინგლისელი ფანობის დაკმაყოფილებას ვეღარ ასწრებენ. უფრო მალე ისმევა, ვიდრე ისხმება. შეიმჩნევა რიგები ლუდზე, როგორც ერთ დროს საბჭოთა ქალაქებში.

ინგლისელები მუშტებს კი იქნევენ ხოლმე, მაგრამ მათი ყოფნა მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველას აწყობს. ასეთი მხარჯველი და ასეთი მრავალათასიანი ფანობა არ არსებობს. ცოტა გუნდიც რომ ირჯებოდეს, მეტსაც დალევდნენ.

რაღა დარჩა? შვიდი თამაში. რვა, მაგრამ ის ერთი ხალტურა თამაშია ხოლმე: მესამე ადგილისთვის. ასეთ კამპანიაში, თორემ თურქების, შვედების, ბულგარელების, კორეელების და ხორვატებისთვის ბრწყინვალეა. საერთოდ, მესამე ადგილისთვის მატჩს ფასი ფრანგებმა დაუკარგეს თავის დროზე. სწორიც იყო, იმხელანი იყვნენ, რომ აღარ კადრულობდნენ.

ახლა ვინ არის იმხელა?

ძალიან უცნაური ჩემპიონატია, ჩემმა მზემ. სანახაობა კი არის, ფეხბურთიც, მაგრამ კლასიკა ვერ იქმნება, ეტყობა, დროა ეგეთი.

დროს კიდევ რას უზამ?

იმ დღეს ამბობდნენ, რონალდო გაიტანს რეკორდის გოლებს და მერე სახლში წავაო.

ზოგიერთი ძალიან თავისებურად აღიქვამს სამყაროს.

სახლში კი სხვები წავიდნენ, ოღონდ ცოტა ხნით: დელ პიერო და ძამბროტა ტურინს გაფრინდნენ, საბრალო მეგობრის, თვითმკვლელობას გადარჩენილი პესოტოს მოსანახულებლად.

ჩვენ კიდევ, ჩაწყობილიაო.

ჩაწყობილი როცაა, აი, რეები ხდება და თუ არ ხდება, მაშინ ჩაწყობილი არაა.

დიდი გარჩევა ოლიმპიკოზე

დღეს იტალიურმა საფეხბურთო ტრიბუნალმა რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ „იუვენტუსს“, „მილანს“, „ფიორენტინას“, „ლაციოს“ და 26 ოფიციალურ პირს — მსაჯებსა და თანამსაჯებს უნდა შეუტიოს. მიზეზი: მატჩების გარიგება და კორუფციულ სისტემაში მონაწილეობა. რა ვერდიქტი შეიძლება გამოიტანოს თემიდამ? კლუბებს შეიძლება, საბოლოო ცხრილში ქულები დააკლონ, ან, სულაც, ქვედა ლიგაში გააგდონ, ხოლო პიროვნებებს სპორტში მოღვაწეობა აუკრძალონ. ოთახში, სადაც სასამართლო გაიმართება — ჩვეულებრივ ეს საპრესკონფერენციო დარბაზია — ჟურნალისტებს არ შეუშვებენ, თუმცა მათ, გვერდით ოთახში დაყენებულ ტელეეკრანზე ყველაფრის ნახვის საშუალება ექნებათ. გამოცალკევებულია კიდევ ერთი ოთახი, ეჭვმიტანილთა და ვექილთათვის



ფრანკო კარარო

კლაუდიო ლოტიტო

ლუჩანო მოჯი

ვინ მივა ოლიმპიკოზე?

ხუთი მოსამართლე — ხუთივე გადამდგარი მაგისტრი — და იტალიის მსაჯთა ასოციაციის წარმომადგენელი. ახლომახლო იტრიალებს მეექვსე მოსამართლეც, ოღონდ ის, ხუთიდან რომელიმეს ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საგანგებო შემთხვევისთვის სათადარიგო იქნება. ტრიბუნალის პრეზიდენტია ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ჩეზარე რუპერტი, რომელიც თანამდებობაზე ერთი თვის დანიშნულიც კი არ გახლავთ — მისი წინამორბედი, ჩეზარე მარტელინო თავად გახდა ეჭვმიტანილი. ოთახში ჩამოთვლილთა გარდა არავის შეუშვებენ.

ცნობისთვის: პროცესი სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ გახლავთ, თუმცა ოთხ ქალაქში, სპორტულისგან დამოუკიდებლად, კრიმინალისტთა ძიებაც მიმდინარეობს და თეორიულად სულაც არ არის გამორიცხული, რომ ერთ მშვენიერ დღეს საქმე სხვა ტრიბუნალშიც გაირჩეს.

რა მოხდება?

თავიდან, ზემოთ ჩამოთვლილებს ბრალს წაუყენებენ, შემდეგ კი ვექილებს მიეცემა სიტყვა. ამის შემდეგ ტრიბუნალი განმარტოვდება, რათა გადაწყვიტოს, ყურად იღოს თუ არა ვექილთა მტკიცებანი. ამის შემდეგ, ბრალდებულებს ადვოკატებთან ერთად სათითაოდ დაიბარებენ და დაკითხავენ. ამ პროცედურის ყველასთან დასრულების შემდეგ მოსამართლეები განაჩენის გამოსატანად გავლენ.

როდის შევიტყობთ ვერდიქტს?

როგორც იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ამბობს ვერდიქტს 7-9 ივლისს უნდა ველოდეთ. ეს ბუნებრივია, ქვეყნის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასვლა — ვერგასვლაზე ფრიად იქნება დამოკიდებული.

გასაჩივრების უფლება, ბუნებრივია, ყველას მიეცემა, მაგრამ აპელაციებსაც თავის ვადა აქვს — 20 ივლისამდე.

ვის ასამართლებენ?

იუვენტუსს — კერძოდ, ყოფილ გენერალურ მენეჯერ ლუჩანო მოჯის და აღმასრულებელ დირექტორ ანტონიო ჯირაუდოს.

მილანს — კერძოდ, ვიცე პრეზიდენტ ადრიანო გალიანის და ერთ-ერთ მენეჯერ ლეონარდო მეანის, რომელიც 2005 წლის აპრილში „სიენასთან“ მატჩის შემდეგ მავან ოფიციალურ პირს „შეკვეთილი თანამსაჯის“ არგამოგზავნის გამო ტელეფონში საყვედურობდა.

ფიორენტინას — კერძოდ, მეპატრონე დიეგო დელა ვალეს და მის ძმას ანდრეას. არსებობს სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, სადაც ძმები, მოჯის და ფედერაციის წევრს პაოლო ბერგამოს მსაჯობაზე საყვედურობდნენ რაღაცას, ხოლო ფლორენციული კლუბის დირექტორი სანდრო მენკუჩი, ასევე სატელეფონო ჩანაწერებში ბერგამოსა და ინოჩენცო მაძინის პირდაპირ ეუბნება, რომ მსაჯთა კეთილგანწყობის სანაცვლოდ დელა ვალე სერია A-ს პატარა გუნდების დახმარებას აღარ აპირებს.

ლაციოს — კერძოდ, პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს, რომელმაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ინოჩენცო მაძინის უთხრა, რომ დელა ვალემ 20004-05 წლების სეზონის ბოლოს, მათი შეხვედრის წინ ბანდიტური გარიგება შესთავაზა. ლოტიტოს „ლაციოს“ წაგებაზე მაქინაციაშიც ედება ბრალი.

ფრანკო კარაროს — ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს. ეჭვია, რომ მან მსაჯებით მანიპულირების ამბავი იცოდა.

ინოჩენცო მაძინის — ფედერაციის ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს.

კოსიმო მარია ფერის — ფედერაციის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის წევრს. ეჭვია, რომ მსაჯებით მანიპულირების ამბავი მანაც იცოდა.

პიერლუიჯი პირეტოს — მსაჯთა ყოფილ გამანაწილებელს, რომელიც მოჯის წინასწარ აცნობებდა „იუვეს“ თამაშებზე დანიშნული მსაჯების გვარებს და ეს ჩემპიონთა ლიგის თამაშებსაც ეხებოდა. პაირეტო უეფას ჩინოსანიც გახლდათ.

პაოლო ბერგამოს — პაირეტოს ყოფილ ქვეშევრდომს.

ტულიო ლანეზეს — მსაჯთა ასოციაციის ყოფილ ხელმძღვანელს.

ჯენარო მაძეის — თანამსაჯთა გამანაწილებელს.

პიეტრო ინგარიოლას — მსაჯთა ასოციაციის ყოფილ ზედამხედველს, რომელიც 2004 წლის ნოემბერში გახლდათ მოწმე იმისა, თუ „რეჯინას“ მიერ „იუვენტუსის“ 2:1 ძლევის შემდეგ, როგორ ჩაკეტა მოჯიმ მსაჯი ჯანლუკა პაპარესტა ოთახში გარედან. ინგარიოლამ მოჯი არ გათქვა.

მსაჯებს: პაოლო ბერტინის, პაოლო დონდარინის, დომენიკო მესინას, ჯანლუკა პაპარესტას, ჯანლუკა როკის, პასკუალე როდომონტის, პაოლო ტალიაგენტოს.

თანამსაჯებს: ფაბრიციო ბაბინის და კლაუდიო პულიზის.

პაპუნა კედია

კვება, ძილი და სექსი
როცა კანავაროს მოუნდება

იტალიის ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო ერთ-ერთი საუკეთესო მცველია მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე. „იუვენტუსის“ 32 წლის ფეხბურთელი მართლაც ჩინებულ თამაშს აჩვენებს და ჟურნალისტები მისი საიდუმლოთი დაინტერესდნენ, ანუ როგორ ახერხებს კანავარო ასეთი კარგი ფორმის შენარჩუნებას.

ფაბიო კანავარო: „სპორტსმენისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ იქცევა მოედნის გარეთ, რადგან მისი კარიერა მეტწილად ამაზეა დამოკიდებული. კარგი კვება, ბევრი ძილი და სექსი. ეს ყველაფერი აუცილებელია. არ ვეწევი და ალკოჰოლურ სასმელებს არ ვსვამ, ეს არასდროს მომწონდა. ნორმალური, ჯანმრთელი ცხოვრებით ვცხოვრობ. დისციპლინას უკვე მრავალი წელია, ვიცავ და ფორმასაც ვინარჩუნებ.“

კითხვებზე, თუ რაოდენ ხშირად აქვს კანავაროს სექსი, მან უპასუხა: „როცა მომინდება. ეს მეხმარება.“

კანავაროს თვისტომმა და თანაკლუბელმა, ჯანლუიჯი ბუფონმა, მას მსოფლიოს საუკეთესო მცველი უწოდა. ეს ფეხბურთელები დიდი ხანია, ერთად თამაშობენ და ერთმანეთს უსიტყვოდ უგებენ, რაც მეტოქეთა იერიშებთან გამკლავებაში ერთიორად ეხმარებათ.

„მე და ჯიჯიმ ერთად მრავალი წელი გავატარეთ. მან მთელი ჩემი კარიერა კარგად იცის, როგორ მე მისი. იცის, ჩემი ძლიერი და სუსტი წერტილები. ასე რომ, როდესაც ამგვარი კომპლიმენტი ასეთი ადამიანისგან მესმის, ორმაგად მსიამოვნებს“ — აღნიშნა კანავარომ.

ნეაპოლში დაბადებულმა ფეხბურთელმა მარჩელო ლიპიზეც ისაუბრა, რომლისაც ძალიან ეიმედება. „სკუადრა აძურას“ კაპიტნის განწყობა ოპტიმისტურია და მას სჯერა, რომ იტალიას მუნდიალის მოგების ძალიან დიდი და რეალური შანსი აქვს.

„იგი ცდილობს, თამაშის საშუალება ყველას მისცეს და აგრძნობინოს, რომ ნაკრებისთვის მნიშვნელოვანია, რაც ბევრს ნიშნავს. როდესაც რამე სათქმელია, იგი პირში ეუბნება. ზოგს ეს მოსწონს, ზოგსაც — არა, მაგრამ ლიპი შეკითხვებს უპასუხოდ არ ტოვებს და გუნდში ყველამ იცის, თუ რა და რატომ ხდება“ — განმარტა კანავარომ.



ფაბიო კანავარო და მარჩელო ლიპი

იტალიელთა დაცვის ბურჯმა ავსტრალიასთან დაძაბული მერვედფინალიც გაიხსენა: „მიკვირს, როცა ხალხი ამბობს, იტალიას გაუმართლაო. არადა, იმ მატჩში ექვსიშვიდი საგოლე მომენტი გვქონდა და თუ ვინმეს გაუმართლა, ეს ავსტრალიაა, რომელიც საკმაო ხნის მანძილზე თერთმეტი კაცით ათს გვეთამაშებოდა.“

ალესანდრო ნესტას ისევ ტრავმა აქვს და უკრაინასთან, ალბათ, ვერ ითამაშებს. მარკო მატერაცი კი დისკვალიფიცირებულია. ასე რომ, კანავაროს გვერდით, დაცვის ცენტრში, შედარებით გამოუცდელი ანდრეა ბარძალი ითამაშებს. კანავაროს თქმით, 25 წლის პალერმელს უმაღლეს დონეზე თამაში ძალუძს და მას ბარძალის ეიმედება.

გიორგი კაკაბაძე

ბრმისგან გულმოკლული

მსაჯს ანრი პუიოლი ეგონა

ამჯერადაც ისე მოხდა, როგორც წინა ჩემპიონატებზე — აქეს, ადიდეს ესპანეთის ნაკრები, მუნდიალის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხეს, „ფურია როხა“ კი მერვედფინალიდან აიბარგა... ესპანელებმა ფრანგებთან წააგეს. კასტილიელთა მხცოვან მწვრთნელ ლუის არაგონესს გალებთან მატჩის შემდეგ მადრიდული „ასის“ კორესპონდენტი გაესაუბრა



— ესპანეთის მარცხზე რას გვეტყოდით?.

— თანაბარი თამაში იყო. პირველ ტაიმში ბურთს უფრო ჩვენ ვაკონტროლებდით და, წესით, მეორე გოლიც უნდა გაგვეტანა, თუმცა გარკვეული შეცდომების გამო რიბერიმ ანგარიშის გათანაბრება შეძლო. აი, ფრანგების მეორე გოლზე კი მსაჯი აშკარად შეცდა. იმ მომენტში ანრი უნდა დაეჯარიმებინათ პუიოლთან უხეშობისთვის და არა პირიქით. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ არბიტრის სიბრმავესაც შევეწირეთ. როცა უკვე ზიდანის მიწოდებული ბურთი ვიეირამ ესპანეთის კარში თავით გააგზავნა, ფრანგის ახლოს ჩვენი მცველები არ აღმოჩნდნენ. მესამე გოლის დროს სესკი შეცდა. მეტოქემ არსენალელს ბურთი აართვა და კომბინაცია ასე წამოიწყო. არადა, სესკმა სულ ერთხელ დაკარგა იმ თამაშში ბურთი. ეს მატჩის დასასრულს მოხდა, როცა ყველა ესპანელი შეტევაში იყო და დაცვისთვის არ ეცალათ.

— რატომ ვერ შეინარჩუნა ესპანეთმა თავდაპირველი ტემპი მეორე ტაიმში?

— ნაკრებმა მეორე ტაიმშიც ისევე ითამაშა, თუმცა ფრანგება შეცდომები არ გვაპატიეს. მუნდიალზე ამის უფლება არ გაქვს... ჩემს ფეხბურთელებს ვეუბნებოდი, მსოფლიოს ჩემპიონატი რეალურად მერვედფინალიდან იწყება-მეთქი. ისე, 3:1 ვერ ასახავს იმას, რაც მოედანზე მოხდა.

— ინჩასები კი, როგორც ყოველთვის, იმედგაცრუებულნი დარჩნენ. ფანების მისამართით რას იტყოდით?

— ხალხს გუნდზე სასაყვედურო არაფერი აქვს. ახალგაზრდა მოთამაშეებისგან შემდგარმა ნაკრებმა თავგამოდებით იბრძოლა, მაგრამ მერვედფინალში უფრო გამოცდილი ფრანგების დამარცხება ვერ შეძლო. სწორედ გამოცდილება დაგვაკლდა. როცა ვიგებდით, სხვანაირად უნდა მოვქცეულიყავით. ესპანეთის ნაკრები ახალგაზრდა გუნდია, რომელმაც მომავალში ბევრი რამ უნდა ისწავლოს.

— „ფურია როხამ“ თქვენი ხელმძღვანელობით პირველი თამაში წააგო. მუნდიალიდან გამოვარდნის მიუხედავად, ხალხი მაინც გენდობათ. ნაკრების სათავეში დარჩენას აპირებთ?

— ახლა ამაზე სალაპარაკო დრო არ არის. უბრალოდ ვიტყვი, რომ მწვრთნელად დარჩენა გამიხარდებოდა და თუ ფედერაცია და გულშემატკივრები წინააღმდეგნი არ იქნებიან, ნაკრებზე უარს არ ვიტყვი. აქ საქმე ბოლომდე არ მიმიყვანია.

— ელოდებოდით მერვედფინალში ასეთ საფრანგეთთან შეხვედრას?

— ყველამ ვიცოდით, რომ საფრანგეთს კარგი გუნდი და დიდი ფეხბურთელები ჰყავს და კონტრშეტევებზე მოწინააღმდეგის „დახვრეტა“ შეუძლია... რა თქმა უნდა, ნაკრებში მძიმე განწყობაა. მეტოქის სიძლიერის მიუხედავად, მერვედფინალიდან გავარდნაზე არავინ ფიქრობდა.

მერვედფინალის სიმბოლური ნაკრები („სარბიელის“ ვერსია)

ყვითლებო, არ აჰყვეთ პროვოკაციას!

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა თავის ფეხბურთელებს განუცხადა, რომ პორტუგალიასთან მატჩში პროვოკაციებს არ აჰყვნენ. ეს განსაკუთრებით პოლ რობინსონს, ჯონ ტერისა და ჯეიმი კარაგერს ეხებათ, რომლებმაც ეკვადორთან შეხვედრაში თითო ყვითელი მიიღეს. შვედი შიშობს, რომ ხშირად უხეშად მოთამაშე პორტუგალიელები ინგლისელებსაც აიყოლიებენ და მსაჯს პროვოკაციაზე წამოაგებენ.

ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივსი: „გერმანიაში ფეხბურთელების დარად საუკეთესო მსაჯები არიან შეკრებილნი, მაგრამ შეცდომები მაინც მოსდით. იმედია, პორტუგალიასთან შეხვედრაში არბიტრები კარგად იმუშავებენ. ყველაზე ცუდია, როცა თამაში ხშირად წყდება. ძნელია, სათანადოდ გაისარჯო, როდესაც ყოველ 30 წამში სასტვენის ხმა გესმის, მერე მატჩიც არეული გამოდის.“

„მსაჯების ბევრი ქმედება ძალიან უცნაური და უსიამოვნოა. ზოგჯერ აშკარა უხეშობას უყურადღებოდ ტოვებენ და წითელ-ყვითელ ბარათებს კი ტყუილად არიგებენ. თუმცა ამასთან შეგუება მოგვიწევს. მთავარია, ისე ვითამაშოთ, როგორც საჭიროა და საბოლოოდ მაინც ის მოიგებს, ვინც იმსახურებს“ — ეს კი ინგლისელთა მცველ რიო ფერნანდის სიტყვებია.

ამასობაში გარი ნევილი მომჯობინებულა. ერიკსონის თანაშემწისა და ინგლისელთა მომავალ მწვრთნელ სტივ მაკლარენის თქმით, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი შაბათის ჯახისთვის მზად იყოს.

ემზადებიან პორტუგალიელთა ბანაკშიც, მაგალითად, ლუზიტანთა ცენტრფორვარდი პედრო პაულეტა ამბობს, რომ ინგლისელთა ყველაზე სუსტი წერტილი მათი მეკარე პოლ რობინსონია. ხოლო პრემიერლიგაში მოთამაშე პორტუგალიელების წყალობით მეტოქის მცველებზე უკვე ყველაფერი იცის.

„რობინსონის შეცდომები ვნახე და ეს უნდა გამოვიყენოთ. იგი მეტოქის ერთ-ერთი მთავარი სუსტი წერტილია. გარდა ამისა, პრემიერლიგაში მოთამაშე თანამემამულეების წყალობით მეტოქეზე წვრილმანი დეტალებიც გავიგეთ. მე ინგლისელთა დაცვას უკვე კარგად ვიცნობ, ვიცი მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. ერთი სიტყვით, ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვხედავ, რითაც შეიძლება ინგლისმა გვაჯობოს და მოსაგებად ვემზადები“ — აღნიშნა ფრანგული პსჟ-ს ფორვარდმა.

გიორგი კაკაბაძე

არგენტინელებო, ჩაალაგეთ ბარგი!

გერმანიის ნაკრებისა და ჩემპიონატის ბომბარდირ მიროსლავ კლოზეს თქმით, არგენტინას არ გაუმართლა. ცუდ დროს უწევთ მასპინძლებთან შეხვედრა, ჩვენ საუცხოო ფორმაში ვართო.

„არგენტინა ძლიერი გუნდია — განაცხადა კლოზემ — ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი იყო მუნდიალის დაწყებამდე, მაგრამ აშკარად არ გაუმართლათ, გერმანიას რომ გადაეყარნენ. პარასკევს მათ ბარგის ჩალაგება და შინ გამგზავრება მოუწევთ. ყველას კარგად გვესმის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია არგენტინის დამარცხება“.

გერმანიამ ოთხივე თამაში მოიგო, მიროსლავ კლოზე კი გუნდის მთავარი კაცია. „არგენტინის ნაკრების დაცვას კარგად ვიცნობ — განაგრძობს მეგოლე — მაგრამ მე ვერაფერს მოიხერხებენ, ისე ვარ გოლზე დაგეშილი. ბოლო ორი წლის განმავლობაში აშკარად მოვუმატე. ჩემპიონატის დაწყებამდე მიზნად ბომბარდირობა დავისახე და ამისკენ მივდივარ“.

გასულ წელს გერმანია არგენტინას ორჯერ შეხვდა ამხანაგურად, კლოზემ კი ორივე გამოტოვა. ამიტომ ელის მოუთმენლად ხვალინდელ მატჩს. „სულაც არ ვნერვიულობ — თქვა ფორვარდმა — პირიქით, შარშან რომ ვერ ვითამაშე მათ წინააღმდეგ, ახლა გაორმაგებული ჟინით ვითამაშებ. 90 წუთის განმავლობაში წნეხის ქვეშ თუ გვეყოლება მეტოქე, აუცილებლად შეცდებიან დაცვაში. რაც შეეხება თავდამსხმელებს — სავიოლა და კრესპო უმაღლესი კლასის ფეხბურთელები არიან. კრესპო ვან ნისტელროის წაგავს. თითქოს არ ჩანს, მაგრამ უცბად გამოხტება და გაიტანს“.

ვაჟა ხუციშვილი

თავზე დაგაყრით პრობლემებს

კარლოს ტევესი გერმანიას ემუქრება. „კარლიტო“ ამბობს, რომ მსგავსი მატჩების ბედს ვარსკვლავ-ბიჭები წყვეტენ და ასეთები ჩვენთან უფრო ბევრნი არიანო.

„უნდა დავამტკიცოთ, რომ გერმანელებზე უკეთესი ფეხბურთელები გვყავს — თქვა ტევესმა — იქნება ბრძოლა და ტაქტიკური ჭიდილი. გერმანიას უფრო მეტი ოფლის ღვრა მოუწევს, ვიდრე აქამდე დაულვრია. მათ იციან, რომ ჩვენი ფეხბურთის თამაშის საშუალებას თუ მოგვცემენ, თავზესაყრელი პრობლემები შეექმნებათ. გაცილებით მონდომებული და ჟინიანი ვარ მაშინ, როცა ქომაგი ჩემს წინააღმდეგაა. ამას კარგად გამოვიყენებთ. დიდი ფეხბურთელები ასეთ მატჩებზე გაიბრწყინებენ ხოლმე“.

კითხვაზე, ეშინია თუ არა ახმახი გერმანელების, „კარლიტომ“ უპასუხა: „მაღალ ბურთებზე ბრძოლისას შეუდარებელნი არიან, რადგან ჩვენზე უფრო ზორბა ფეხბურთელები ჰყავთ. ასეთების შეიძლება ჩხუბში შემეშინდეს, ფეხბურთში კი არავისი არ მეშინია“.

კარლოს ტევესმა ჯგუფის სამივე მატჩში და მერვედფინალში შეცვლაზე ითამაშა. სერბეთ-ჩერნიგორიასთან მოგებულ (6:0) შეხვედრაში ერთი გოლი გაიტანა.

ხოსე პეკერმანი, ალბათ, კვლავაც სათადარიგოებში დასვამს ლეო მესის და კარლოს ტევესს, არგენტინის ნაკრების ორ უსწრაფეს ფეხბურთელს. ძირითადში კი ერნან კრესპო და ხავიერ სავიოლა იქნებიან.

რამ შეაყენა ფანჯრის რაფაზე პესოტო?



ჯანლუკა პესოტოს მეუღლემ განაცხადა, რომ მისმა ქმარმა თავის მოკვლა სცადა. მოგეხსენებათ, 35 წლის ყოფილი მცველი „იუვენტუსის“ მენეჯერის თანამდებობაზე სულ ახლახან, მაისის დასაწყისში დაინიშნა და, როგორც ჩანს, სუიციდის მცდელობაც სწორედ ახალ სამსახურთან არის რაღაცნაირად დაკავშირებული.

ირკვევა, რომ პესოტო სამსახურში მივიდა, თავის კაბინეტში ფანჯრის რაფაზე შედგა და გადახტა. ამ დროს მას ხელში კრიალოსანი ეჭირა. პესოტო დაუყოვნებლივ წაიყვანეს ლე მოლინეტეს საავადმყოფოში, სადაც მრავალჯერადი მოტეხილობანი აღმოაჩნდა.

„ბოლო ხანს ის ძალიან დათრგუნული იყო — თქვა რინა პესოტომ — მატისმეტად მგრძნობიარე გახდა, ახალი სამსახურის გამო ძლიერი დეპრესია შემოეჩვია. „იუვენტუსის“ დირექტორობა სულაც არ გამოდგა ის, რასაც ელოდა“.

ცოლმა თქვა, რომ ფანჯრიდან გადახტომის წინ მათ იჩხუბეს. ჩხუბის მიზეზი ჯანლუკას თხოვნა აღმოჩნდა, მას მეუღლისთვის დაგეგმილი დასვენების გაუქმება უთხოვია.

„როგორც ჩანს, საქმე გამოუჩნდა, რადგან დამირეკა და მთხოვა, დასასვენებლად წასვლა გადაგვედო. ამის გამო ვიჩხუბეთ, მაგრამ ასეთი რამ ყველა წყვილს მოსდის. მისი საქციელის ამ ჩხუბით ახსნა დაუშვებელია. მეტსაც გეტყვით, თვეზე მეტია, სახლიდან სამსახურში გასვლისას ფეხები უკან რჩებოდა. ჯანლუკა ხვდებოდა, რომ მენეჯერობა მისი საქმე არ იყო. ხშირად იმეორებდა, ისე გამოდის, რომ ჩვენი, ფეხბურთელების დაუღალავი მუშაობა არაფერს ნიშნავსო. ის „იუვენტუსის“ ბედს მწარედ განიცდიდა.“

შეგახსენებთ, რომ ჯანლუკა პესოტომ „იუვენტუსში“ 11 წელი გაატარა. მისი მდგომარეობა მძიმეა და საუბარი გადარჩენაზე ჯერ ნაადრევია, თუმცა, თითქოს პირველ დღეზე ოდნავ უკეთესად მაინც არის.

პაპუნა ძედია

ფრანგული მამლის ქება-დიდება

ფრანგული პრესა დიდი ოვაციებით გამოეხმაურა „მამლების“ ესპანეთზე გამარჯვებას. რაიმონ დომენიკის შეგირდები ჯგუფურ ეტაპზე არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ პირნეელებთან მართლაც კარგად გაისარჯნენ 34 წლის ზიდანისა და პატრიკ ვიეირას თამადობით.

„ლურჯები დაბრუნდნენ. ნაკრები ბრწყინვალე სტილში გავიდა მეოთხედფინალში და 1998 წლის საუკეთესო პერიოდი გაგვახსენა. რიბერის, ვიეირასა და ისევ ბრწყინვალედ ათამაშებული ზიდანის გოლების წყალობით, რაიმონ დომენიკის შეგირდები შაბათს ბრაზილიასთან ითამაშებენ, რომელსაც ძველი მარცხის გამო რევანშის წყურვილი კლავს“ — წერს „ლე პარიზიენი“, რომლის პირველ გვერდზეც ზიდანის ფოტოა წარწერით — დიდი.

„საფრანგეთი იყო ძლიერი და შეუპოვარი, როგორც საუკეთესო წლებში. გუშინდელმა მატჩმა საუკეთესო მოგონებები ამოგვიტივტივა. გაშვებული გოლის შემდეგ ხასიათი, ბრძოლის უნარი, გუნდურობა, ჭკუა, შემართება და სიამაყე გამოვიჩინეთ!“ — ასეთ კომენტარს კი „ეკიპში“ ამოიკითხავთ, რომელზეც ვიეირას გოლის მერე მოზეიმე ფრანგები არიან გამოსახულნი წარწერით — ბედნიერება.

სხვა ფრანგულმა გამოცემებმა სიხარული შედარებით მოკრძალებით გამოხატეს, თუმცა საქებარი სიტყვებით არც მათ დაუშურებიათ. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ „მამლების“ გამარჯვების შემდეგ საოცარი გრძნობა დაეუფლა. იგი ბედნიერი იყო.

ძოკი ძანდელაძი

შოტლანდიური „სელტიკის“ უელსელი ფორვარდი ჯონ ჰართსონი, ინგლისური პრემიერლიგის „ვესტ ბრომვიჩმა“ შეიძინა. ბრომვიჩელებმა მეგოლეს ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ჰართსონს „სელტიკში“ 100-ზე მეტი გოლი გაუტანია და თავის დროზე, „არსენალში“, „ქოვენთრიში“, „უიმბლდონსა“ და „ვესტ ჰემში“ უთამაშია.

ბერძნული „არისმა“, რომელიც უმაღლეს დივიზიონში აღზევდა, მწვრთნელად არგენტინელი ანხელ გილერმო ოოსი დანიშნა. გარიგების ფინანსური მხარე უცნობია.

გერმანული „ბოხუმმა“ „ნიურნბერგიდან“ ბენჟამინ ლენსე გადაიყვანა. 21 წლის ცენტრალურმა მცველმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ლენსმა „ნიურნბერგში“ 49 მატჩი ითამაშა, თუმც გასულ სეზონში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. „ბოხუმმა“ მის გარდა, უკვე შეიძინა ოლივერ შრიოდერი, ბენჟამინ აუერი და კრისტოფ დაბროვსკი.

ესპანური „დეპორტივომ“ „ალავესიდან“ გვინეელი ფორვარდი ბოდიპო გადაიბირა. 28 წლის მეგოლემ გალისიურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „ალავესმა“ კი ორი მილიონი ევრო მიიღო. ბოდიპომ გასულ სეზონში რვა გოლი გაიტანა.

ინგლისური „ბირმინგემის“ ნახევარმცველმა მაზი იზეტმა მუხლის ტრავმის გამო კარიერა დასრულა. 31 წლის ფეხბურთელს კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდებოდა, მაგრამ მუხლმა თამაშის გაგრძელების საშუალება არ მისცა.

პორტუგალიური „სპორტინგი“ პარაგვაელი კარლოს პარედესის ყიდვას აპირებს. 29 წლის ნახევარმცველს „რეჯინასთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ახალ კლუბს ეძებს. „ჩემი აგენტი სპორტინგელებს ესაუბრა და ვიმედოვნებ, რომ გარიგება შედგება“ — განაცხადა პარედესმა.

ინგლისური „უიგანმა“ საშემოავალსეზონოდ პირველი ფეხბურთელი იყიდა. უიგანელებმა „კრისტალ პალასიდან“ მცველი ფიც ჰალი წაიყვანეს და 3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. გარდა ამის, მათ „ვესტ ბრომვიჩის“ სამი ფეხბურთელის — კურტის დევისის, ზოლტან გერას და ნათან ელინგტონის შეძენაც სურთ.

გერმანული „ვოლფსბურგმა“ „რივერ პლეიტიდან“ ნახევარმცველი ჯონათან სანტანა გადაიბირა და ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 24 წლის სანტანა „მგლებს“ 3 მილიონ 500 ათასი ევრო დაუჯდათ. „ჯონათანი შემტევი ნახევარმცველია და საჯრდენობაც შეუძლია“ — განაცხადა გერმანული კლუბის მენეჯერმა.

fanaoba@hotmail.com

KANDAREILI: გამარჯობათ. ძალიან მოხარული ვარ, რომ გულშემატკივრებს საშუალება გვაქვს საკუთარი აზრი გამოვთქვათ მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ. შესანიშნავია, რადგან აქამდე მხოლოდ ნეგატიურ აზრებს ვკითხულობდი საქართველოს ეროვნული ნაკრებზე, თან ერთხელ მეც მომიხდა მსგავსი „ცოდვის ჩადენა“ და ეროვნული ნაკრები გავაკრიტიკე.

პირველ რიგში მინდა წინა „ფანაობაში“ დაბეჭდილი **PORTENO**-ს წერილს ვუპასუხო. მე თვითონ 1998 წლის მერე ინგლისის ნაკრების ფანი ვარ. ამჟამად ვცხოვრობ გერმანიაში და აქედან ვადევნებ თვალს მსოფლიო ჩემპიონატს. ძალიან მაინტერესებს როგორ წერს **PORTENO** მსგავს რამეს იტალიის ნაკრებზე განასთან ნათამაშები მატჩის მერე, ან ინგლისზე შვედეთის მერე.

აქაოდა დემოკრატიააო, მე მგონი არ არის კარგი ყველამ ფეხბურთზე დაიწყოს ლაპარაკი იმის მიუხედავად, ესმის თუ არა მას ფეხბურთი. საინტერესოა, ალბათ, ბრაზილიის ნაკრებსაც აკრიტიკებს და რონალდოს სასწორით დასდევს, აბა რამდენი მოიმატაო. ვინმეს ეჭვი თუ ეპარებოდა, რომ ამ ჩემპიონატზე რონალდო გერდ მიულერის რეკორდს გააუმჯობესებდა? ალბათ, არავის. აქ ლაპარაკია „კიჭაზე“ და არა ვიღაც რიგით ფეხბურთელზე. ეს ხომ ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავია პელესთან, მარადონასთან, ბეკენბაუერთან, ზიდანთან და სხვა მრავალთან ერთად (იმათ მაპატიაონ, ვინც გამომრჩა). უბრალოდ, ფეხბურთი ტოტალიზატორმა გააფუჭა და, მოდით, ამერიკასთან ნათამაშები ფრით ნუ განვსჯით იტალიას, ჩემი აზრით, მართლაც რომ საუკეთესო ნაკრებს ამ ქვეყნის ისტორიაში და კიდევ ინგლისს, რომელმაც ვარჯიშით ორი გოლი გაუტანა ტრინიდადს. ის რომ, გუნდი დარიგებულია იმაზე, რომ პირველ ტაიმში ფრე ითამაშოს, მეორე მოიგოს, ანაც პირველი ტაიმი წააგოს და მეორე მოიგოს, ამაში რონალდოს და ბექემს ნუ დავადანაშაულებთ. ყველას გონია, რომ არგენტინა გახდება ჩემპიონი იმ ულამაზესი თამაშით, რომელიც აჩვენა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩემპიონატი გერმანიაშია და მისი ორგანიზატორია დიდი „კაიზერი“. აქ სამხრეთ ამერიკულ გუნდს არავინ გაახარებს და თუ კარგად დაკვირდებით, მსოფლიოს თასს სამი პრეტენდენტი ჰყავს: იტალია, გერმანია და ესპანეთი *(შენიშვნა: წერილი ესპანეთ-საფრანგეთის მატჩამდეა მოსული)* იტალია არა? არც ესპანეთი? აბა ვინ? ბრაზილია რომ არ თამაშობს, ამას მე მგონი ის თაობაც ხედავს, რომლისთვისაც ეს პირველი ჩემპიონატია. მაშინ გერმანია! ანტიფეხბურთი და გერმანული მანქანა, რომელიც ცდილობს, რომ ერთი გოლი გაიტანოს და საკუთარ კარში არ გაუშვას.

მკითხველთა წერილების რუბრიკა ორი წლის წინ დაარსდა ევროპის ჩემპიონატის დროს. მას მერე უამრავ თემაზე მომწერეს ჩვენმა მკითხველებმა თავიანთი მოსაზრებები და ბევრ მათგანთან პირადად გაცნობაც და დამეგობრებაც მოვასწარი.
იმედი გვაქვს, ამ მუნდიალზეც იმდენ წერილს გამოგვიგზავნით, წინა ევროპისა არ იყოს, მათი დამცრობა დაგვჭირდეს, გაზეთში ყველას ჩატევა რომ მოვახერხოთ.
მსოფლიოს ჩემპიონატთან დაკავშირებულ ნებისმიერ თემაზე შეგიძლიათ მოიწეროთ, ოღონდ გუნდებს, რომლებსაც არ გულშემატკივრობთ, არაკორექტულად ნუ დასცინებთ

AFP

დაბოლოს, ალბათ ვინმეს ეგონა, რომ დიდი „ზიზუ“ ბოლოჯერ გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ მისმა მეგობრებმა დაამწუხრეს „ანტიზიდანისტები“ და გაგვახარეს ჩვენ. მინიმუმ კიდევ ერთხელ ვიხილავთ მოედანზე ლეგენდარული ადამიანს. მე არ მჯერა მაგრამ ღმერთმა ქნას, რომ „სამფეროვნებმა“ ნამდვილი ფეხბურთი ითამაშონ და ესპანეთი შინ გაამგზავრონ. ვისაც ჯერ ვერ გაურკვევია რატომაა ეს საჭირო, კიდევ ერთხელ აგიხსნით — ერთ წელიწადში იოცნებებთ ზიდანის დანახვას მოედანზე, მაგრამ ეს აღარ მოხდება. რონალდინიოს ჯერი 4 წელიწადში მოვა.

ამით გემშვიდობებით იმის იმედით, რომ ამ ფავორიტებში იქნებ გაუმართლოს ჩემ ინგლისის ნაკრებს და ხელი გამოკრას მსოფლიო თასს — აი, რა გამახარებს ყველაზე მეტად. ფინალი: ინგლისი - გერმანია.

საუკეთესო სურვილებით ფრანკფურტიდან.

KAKICH: გაუმარჯოს „სარბიელს“! ძალიან გულგატეხილი ვარ და აგიხსნით, რატომ. მე ვარ ჰოლანდის ნაკრების ძაან დიდი ხნის ქომაგი და რაც მე ჰოლანდიას ვგულშემატკივრობ, ასეთი დაბალი დონის თავდამსხმელი, როგორიც დირკ კუიტი, ნაკრებში არ მინახავს. ნამდვილად არ გაამართლა ვან ბასტენმა, როგორც მწვრთნელმა. ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ჩემპიონატის დაწყებამდეც და ჩემპიონატის მსვლელობისასაც. აღარ დავიწყებ იმ ფეხბურთელების ჩამოთვლას, ვინც ვან ბასტენმა არ წაიყვანა. უბრალოდ ჩანს, რომ წარსულში ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელს არ აღმოაჩნდა ის ალღო, რომელიც თანამედროვე ფეხბურთში მწვრთნელს სჭირდება.

დატოვო სკამზე ვან ნისტელროის დონის ფეხბურთელი და შეცვლაზე გამოიყვანო ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, ფეხბურთელი რომელსაც ნაკრებში თამაშის საჭირო გამოცდილება არ გააჩნია და კლუბშიც არ ითვლება წამყვან ფეხბურთელად — მხოლოდ გამოუცდელ მწვრთნელი იზამდა ამას.

ჰოლანდია-პორტუგალიის თამაშში ჩვენ ვნახეთ ორი მწვრთნელის დუელი, რომელშიც ბრაზილელმა „ფელიპაომ“ დაჩაგრა თავისი ვიზავი. ძალიან ძლიერი მწვრთნელია სკოლარი და ჩემი აზრით ინგლისის ნაკრებს ძალიან გაუჭირდება მათთან თამაში. მე-12 შეხვედრას მოიგებს ჩემპიონატზე სკოლარი, თუ ასე გააგრძელებს ერიკსონი! ველოდები ორი 7 ნომრის დაპირისპირებას და იმედია ფიგუთვის სათქმელს კიდევ იტყვის.

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ინგლისს ძალიან გაუჭირდება ასეთ მებრძოლ პორტუგალიასთან თამაში.

დაბოლოს, როგორც იქნა, გვეღირსა ჩვენი ნაკრების ფან-კლუბის შექმნა და იმედი მაქვს, 9 ივლისის შემდეგ ყველანი დავივიწყებთ დანარჩენ მსოფლიოს და მხოლოდ საქართველოს ვუგულშემატკივრებთ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ცივილური მეთოდებით. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ყოველთვის უნდა ვცეთ პატივი მოწინააღმდეგე გუნდს.

P.S. აუცილებლად გააფრთხილეთ უეფა, რომ ჩვენი ნაკრების თამაშებზე არ დანიშნოს ვალია ივანოვი, თორემ, ოოოოოო...!

MEPE 1967: გამარჯობათ, მე „სარბიელის“ ერთგული მკითხველი ვარ — მისი დაარსების დღიდან, პრაქტიკულად, ნომერი არ გამომიტოვებია, თუმცა წერილს პირველად გწერთ. მთავარი, რაც შეიძლება თქვას ამ ჩემპიონატზე, ის არის, რომ იგი ჯერჯერობით ძალიან „წესივრად“, ყოველგვარი სიურპრიზების გარეშე მიმდინარეობს. ერთადერთი, მეტს ველოდი ხორვატიისგან, დანარჩენი გუნდების გასვლა მერვედფინალში კი ადვილად პროგნოზირებადი იყო. ძალიან შემეცოდა კოტ დივუარის ნაკრები, რომელიც, ალბათ, ნებისმიერი სხვა ჯგუფიდან გავიდოდა.

ჩემს მახსოვრობაში, ანუ 1978 წლიდან, გერმანია პირველად თამაშობს ლამაზ ფეხბურთს. ტრადიციულები არიან იტალია და ინგლისი, რომელთაც ბუნების შეცდომამ, ვალია ივანოვმა, დეკოსა და კოშტინის გაგდებით დიდი საჩუქარი გაუკეთა (იმედია, ისინი ამ საჩუქარს ვერ შეირგებენ). საერთოდ, წინა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ახლა მსაჯობა ნორმალურია, ყოველ შემთხვევაში, უხეში შეცდომები ნაკლებადაა და თუ არის, ორივე მეტოქე ერთნაირად ზარალდება ხოლმე.თუმცა, როგორც ყველგან და ყოველთვის, ერთ-ერთ აქაც აურია — ზემოთ ნახსენებმა ივანოვმა, ჯერ საფრანგეთის ისედაც საცოდავ ნაკრებს არ ჩაუთვალა ნაღდი გოლი, შემდეგ ჰოლანდიელებსა და პორტუგალიელებს დააჭმევინა ერთმანეთი. ნეტავ, მესამე თამაშსაც თუ გააფუჭებინებენ ვალიას?

GIO 81: „სარბიელს“ გაუმარჯოს! რალაცნაირი ჩემპიონატი გამოვიდა. ამდენი თამაშიდან 2 თუ 3 მომეწონა. დებიუტანტებსა და სუსტ გუნდებზე არაფერს ვამბობ. რაც იციან, ის ითამაშეს, ფავორიტებს და გრანდებს რა მოუვიდა, ვერ გავიგე. პირველ რიგში, ბრაზილიის გამკვირვებია, როდემდე უნდა შეინახოს თავი ნეტა? მეოთხედფინალშიც ერთ გოლს გაიტანენ და დადგებიან. იაპონიას და განას კი, ალბათ, იმიტომ გაუტანეს ბევრი, რომ თვითონ მათ შეუწყვეს ხელი.

რეალურად კი, მეოთხედფინალში, ყველაზე დაძაბული და საინტერესო თამაში გერმანია — არგენტინა იქნება. გერმანიის თამაში არასდროს მომწონდა, მაგრამ ამ ჩემპიონატზე მარტო ეგენი თამაშობენ 90 წუთის მანძილზე. არგენტინაზეც თითქმის იმავეს თქმა შეიძლება. აბა, იტალია-უკრაინა, მგონი, ანტიფეხბურთი გამოვა, არც ინგლისი — პორტუგალიის თამაშისგან ველილამაზ სანახაობას, ბრაზილიისგან კი... მგონი, ფინალის ბოლო წუთისთვის ინახავენ თავს.

მაგარი თამაში და წიხლაობა იყო პორტუგალია-ჰოლანდია. მაგრამ მომეწონა იმიტომ, ჟინი იყო და ორივე თუ არა, ერთი გუნდი მაინც უტევდა. აბა, შეეიცარია უტევდა? ან უკრაინა? ან იტალია? ან ინგლისი? მაგრამ ბრაზილია რომ ვერ კი არა, არ უტევს თავის რონალდინიოთი, დანარჩენ ფავორიტებზე რა უნდა ვთქვა. მეოთხედფინალისთვის ზოგავენ ძალებსო. ვნახოთ... აი, გერმანია უტევდა, რომლის შეტევებიც მე არასოდეს მომწონდა, ახლა სხვა გუნდების ფონზე მომეწონა.

უკრაინის წარმატება კი მიხარია იმიმტომ, რომ მგონია — უკრაინა რაც უფრო შორს წავა, მით უფრო მეტი ხნით ექნება ჩავარდნა ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებში. იმავეს ვიტყოდი იტალიასა და საფრანგეთზე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

არ შემიძლია, ერთი-ორი სიტყვა ქართულ ფეხბურთზე არ ვთქვა. ძაან კარგია, ფან-კლუბი თუ გულშემატკივრების კლუბი რომ გაიხსნა და სარეკლამო რგოლები გამოვიდა. ამხანაგური თამაშებიც რა მაგარი დავითრიეთ! მოკლედ, აგვისტოდან ერთად შევიკრიბოთ ბარებში, სახლებში, სტადიონზე, რომელიც, მგონი, უმაღლესი დონის გამოდის და ვუქომაგოთ საქართველოს ნაკრებს. ისე კი არა, როგორც ადრე, არამედ ისე, როგორ შენს საყვარელ გუნდს შეეფერება. ეს იქნება ნამდვილი, გულიდან ამოსული და მართლა ემოციური გულშემატკივრობა. დროებით.

fanaoba@hotmail.com



AFP

AFP



AFP

AFP

AFP

AFP

აგე, სად მიდის ცივი ციმბირის თბილ წიაღში ნაშოვნი ფულები, უზარმაზარ იახტად, ზედ გემბანზე მოყელყელავე გაპრიალებულ ჰელიკოპტერად და კიდევ ათას რამედ იქცევა, რასაც ჯამში ჰქვია რომან აბრამოვიჩის ტკბილი და უდარდელი ცხოვრება. აბრამოვიჩს ეს მცურავი სასახლე გერმანული მინის ჩრდილო ნავსადგურ ლიუბეკში შეუცურებია, აქაოდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ამბავში მეც გერმანიაში ვარო.

მუნდიალის დაწყებამდე დამტვრეულ აფრო-ფრანგ ჯიბრილ სისეს პრესკონფერენცია გაუმართავს და იქ უთქვამს, ოუენის ტრავმა რომ ვნახე, მაშინვე ვთქვი, ეგეთ ტრავმას ისევ ჩემი ჯობიაო.

ამ მიყრუებულ გზატკეცილებს რომ უყურებთ, ეგ გზა სან პაულუს ცენტრალურთაგანია და დღემუდამ გადაჭედილია, ოღონდ არა ბრაზილიის თამაშის დროს.

სამ ქალთაგან შუა კი გახლავთ მადამ ვერონიკ ზიდანი, ვისმა კაცმაც ესპანეთთან დიდად გამოიჩინა თავი და პარიზის მერს ბერტრან დელანოსაც ეს უხარია.

გერმანიის ბუნდესლიგა 2006-2007

2005-2006 წლების ბუნდესლიგის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი“

2006 წელი

1-ლი ტური, 12 აგვისტო
ბაიერნი : დორტმუნდი
ჰამბურგი : არმინია
შალკე : აინტრახტი
ლევერკუზენი : ალემანია
შტუტგარტი : ნიურნბერგი
გლადბახი : კოტბუსი
მაინცი : ბოხუმი
ჰანოვერი : ვერდერი
ვოლფსბურგი : ჰერტა

მე-2 ტური, 19 აგვისტო
ვერდერი : ლევერკუზენი
ჰერტა : ჰანოვერი
დორტმუნდი : მაინცი
ნიურნბერგი : გლადბახი
არმინია : შტუტგარტი
აინტრახტი : ვოლფსბურგი
ბოხუმი : ბაიერნი
ალემანია : შალკე
კოტბუსი : ჰამბურგი

მე-3 ტური, 26 აგვისტო
ბაიერნი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : ჰერტა
შალკე : ვერდერი
ლევერკუზენი : ვოლფსბურგი
შტუტგარტი : დორტმუნდი
გლადბახი : არმინია
მაინცი : აინტრახტი
ჰანოვერი : ალემანია
ბოხუმი : კოტბუსი

მე-4 ტური, 16 სექტემბერი
ჰერტა : შალკე
დორტმუნდი : ჰამბურგი
ნიურნბერგი : ბოხუმი
არმინია : ბაიერნი
აინტრახტი : ლევერკუზენი
ვოლფსბურგი : ჰანოვერი
ალემანია : გლადბახი
კოტბუსი : მაინცი
ვერდერი : შტუტგარტი

მე-5 ტური, 23 სექტემბერი
ჰამბურგი : ვერდერი
შალკე : ვოლფსბურგი
შტუტგარტი : აინტრახტი
გლადბახი : დორტმუნდი
მაინცი : ჰერტა
ჰანოვერი : ლევერკუზენი
ბოხუმი : არმინია
კოტბუსი : ნიურნბერგი
ბაიერნი : ალემანია

მე-6 ტური, 30 სექტემბერი
ლევერკუზენი : შალკე
ჰერტა : შტუტგარტი
დორტმუნდი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : მაინცი
არმინია : კოტბუსი
აინტრახტი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : ბაიერნი
ალემანია : ბოხუმი
ვერდერი : გლადბახი

მე-7 ტური, 14 ოქტომბერი
ჰამბურგი : შალკე
ნიურნბერგი : არმინია
შტუტგარტი : ლევერკუზენი
გლადბახი : ვოლფსბურგი
მაინცი : ალემანია
ჰანოვერი : აინტრახტი
ბოხუმი : ვერდერი
კოტბუსი : დორტმუნდი
ბაიერნი : ჰერტა

მე-8 ტური, 21 ოქტომბერი
შალკე : ჰანოვერი
ლევერკუზენი : ჰამბურგი
ჰერტა : გლადბახი
დორტმუნდი : ბოხუმი
არმინია : მაინცი
აინტრახტი : ნიურნბერგი
ვოლფსბურგი : შტუტგარტი
ალემანია : კოტბუსი
ვერდერი : ბაიერნი

მე-9 ტური, 28 ოქტომბერი
ჰამბურგი : ჰანოვერი
ნიურნბერგი : დორტმუნდი
შტუტგარტი : შალკე
გლადბახი : ლევერკუზენი
მაინცი : ვერდერი
არმინია : ალემანია
ბოხუმი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : ჰერტა
ბაიერნი : აინტრახტი

მე-10 ტური, 4 ნოემბერი
შალკე : ბაიერნი
ლევერკუზენი : მაინცი
ჰერტა : ნიურნბერგი
დორტმუნდი : არმინია
ჰანოვერი : ბოხუმი
აინტრახტი : გლადბახი
ვოლფსბურგი : ჰამბურგი
ალემანია : შტუტგარტი
ვერდერი : კოტბუსი

მე-11 ტური, 8 ნოემბერი
ნიურნბერგი : ვერდერი
შტუტგარტი : ჰამბურგი
გლადბახი : შალკე
მაინცი : ვოლფსბურგი
არმინია : ჰერტა
ბოხუმი : ლევერკუზენი
კოტბუსი : აინტრახტი
ბაიერნი : ჰანოვერი
დორტმუნდი : ალემანია

მე-12 ტური, 11 ნოემბერი
შალკე : მაინცი
ლევერკუზენი : ბაიერნი
ჰერტა : ბოხუმი
ჰანოვერი : შტუტგარტი
აინტრახტი : არმინია
ვოლფსბურგი : კოტბუსი
ალემანია : ნიურნბერგი
ვერდერი : დორტმუნდი
ჰამბურგი : გლადბახი

მე-13 ტური, 18 ნოემბერი
ნიურნბერგი : ლევერკუზენი
გლადბახი : ჰანოვერი
მაინცი : ჰამბურგი
არმინია : ვოლფსბურგი
ბოხუმი : აინტრახტი
ალემანია : ვერდერი
კოტბუსი : შალკე
ბაიერნი : შტუტგარტი
დორტმუნდი : ჰერტა

მე-14 ტური, 25 ნოემბერი
შალკე : ბოხუმი
ლევერკუზენი : კოტბუსი
ჰერტა : ალემანია
შტუტგარტი : გლადბახი
ჰანოვერი : მაინცი
აინტრახტი : დორტმუნდი
ვოლფსბურგი : ნიურნბერგი
ვერდერი : არმინია
ჰამბურგი : ბაიერნი

მე-15 ტური, 2 დეკემბერი
დორტმუნდი : ვოლფსბურგი
ნიურნბერგი : შალკე
მაინცი : შტუტგარტი
არმინია : ლევერკუზენი
ბოხუმი : ჰამბურგი
ალემანია : აინტრახტი
კოტბუსი : ჰანოვერი
ბაიერნი : გლადბახი
ვერდერი : ჰერტა

მე-16 ტური, 9 დეკემბერი
შალკე : დორტმუნდი
ლევერკუზენი : ჰერტა
შტუტგარტი : ბოხუმი
გლადბახი : მაინცი
ჰანოვერი : არმინია
აინტრახტი : ვერდერი
ვოლფსბურგი : ალემანია
ბაიერნი : კოტბუსი
ჰამბურგი : ნიურნბერგი

მე-17 ტური, 16 დეკემბერი
დორტმუნდი : ლევერკუზენი
ნიურნბერგი : ჰანოვერი
მაინცი : ბაიერნი
არმინია : შალკე
ბოხუმი : გლადბახი
ალემანია : ჰამბურგი
კოტბუსი : შტუტგარტი
ვერდერი : ვოლფსბურგი
ჰერტა : აინტრახტი

2007 წელი

მე-18 ტური, 27 იანვარი
ალემანია : ლევერკუზენი
ნიურნბერგი : შტუტგარტი
კოტბუსი : გლადბახი
ბოხუმი : მაინცი
ვერდერი : ჰანოვერი
ჰერტა : ვოლფსბურგი
დორტმუნდი : ბაიერნი
არმინია : ჰამბურგი
აინტრახტი : შალკე

მე-19 ტური, 31 იანვარი
გლადბახი : ნიურნბერგი
შტუტგარტი : არმინია
ვოლფსბურგი : აინტრახტი
ბაიერნი : ბოხუმი
შალკე : ალემანია
ჰამბურგი : კოტბუსი
ლევერკუზენი : ვერდერი
ჰანოვერი : ჰერტა
მაინცი : დორტმუნდი

მე-20 ტური, 3 თებერვალი
ვოლფსბურგი : ლევერკუზენი
დორტმუნდი : შტუტგარტი
არმინია : გლადბახი
აინტრახტი : მაინცი
ალემანია : ჰანოვერი
კოტბუსი : ბოხუმი
ნიურნბერგი : ბაიერნი
ჰერტა : ჰამბურგი
ვერდერი : შალკე

21-ე ტური, 10 თებერვალი
ბოხუმი : ნიურნბერგი
ბაიერნი : არმინია
ლევერკუზენი : აინტრახტი
ჰანოვერი : ვოლფსბურგი
გლადბახი : ალემანია
მაინცი : კოტბუსი
შტუტგარტი : ვერდერი
შალკე : ჰერტა
ჰამბურგი : დორტმუნდი

22-ე ტური, 17 თებერვალი
აინტრახტი : შტუტგარტი
დორტმუნდი : გლადბახი
ჰერტა : მაინცი
ლევერკუზენი : ჰანოვერი
არმინია : ბოხუმი
ნიურნბერგი : კოტბუსი
ალემანია : ბაიერნი
ვერდერი : ჰამბურგი
ვოლფსბურგი : შალკე

23-ე ტური, 24 თებერვალი
ჰანოვერი : დორტმუნდი
მაინცი : ნიურნბერგი
კოტბუსი : არმინია
ჰამბურგი : აინტრახტი
ბაიერნი : ვოლფსბურგი
ბოხუმი : ალემანია
გლადბახი : ვერდერი
შალკე : ლევერკუზენი
შტუტგარტი : ჰერტა

24-ე ტური, 3 მარტი
ლევერკუზენი : შტუტგარტი
ვოლფსბურგი : გლადბახი
ალემანია : მაინცი
აინტრახტი : ჰანოვერი
ვერდერი : ბოხუმი
დორტმუნდი : კოტბუსი
ჰერტა : ბაიერი
შალკე : ჰამბურგი
არმინია : ნიურნბერგი

25-ე ტური, 10 მარტი
ბოხუმი : დორტმუნდი
მაინცი : არმინია
ნიურნბერგი : აინტრახტი
შტუტგარტი : ვოლფსბურგი
კოტბუსი : ალემანია
ბაიერნი : ვერდერი
ჰანოვერი : შალკე
ჰამბურგი : ლევერკუზენი
გლადბახი : ჰერტა

26-ე ტური, 17 მარტი
ლევერკუზენი : გლადბახი
ვერდერი : მაინცი
ალემანია : არმინია
ვოლფსბურგი : ბოხუმი
ჰერტა : კოტბუსი
აინტრახტი : ბაიერნი
ჰანოვერი : ჰამბურგი
დორტმუნდი : ნიურნბერგი
შალკე : შტუტგარტი

27-ე ტური, 31 მარტი
არმინია : დორტმუნდი
ბოხუმი : ჰანოვერი
გლადბახი : აინტრახტი
ჰამბურგი : ვოლფსბურგი
შტუტგარტი : ალემანია
კოტბუსი : ვერდერი
ბაიერნი : შალკე
მაინცი : ლევერკუზენი
ნიურნბერგი : ჰერტა

28-ე ტური, 7 აპრილი
შალკე : გლადბახი
ვოლფსბურგი : მაინცი
ჰერტა : არმინია
ლევერკუზენი : ბოხუმი
აინტრახტი : კოტბუსი
ჰანოვერი : ბაიერნი
ალემანია : დორტმუნდი
ვერდერი : ნიურნბერგი
ჰამბურგი : შტუტგარტი

29-ე ტური, 14 აპრილი
ბოხუმი : ჰერტა
შტუტგარტი : ჰანოვერი
არმინია : აინტრახტი
კოტბუსი : ვოლფსბურგი
ნიურნბერგი : ალემანია
დორტმუნდი : ვერდერი
გლადბახი : ჰამბურგი
მაინცი : შალკე
ბაიერნი : ლევერკუზენი

30-ე ტური, 21 აპრილი
ჰამბურგი : მაინცი
ვოლფსბურგი : არმინია
აინტრახტი : ბოხუმი
ვერდერი : ალემანია
შალკე : კოტბუსი
შტუტგარტი : ბაიერნი
ჰერტა : დორტმუნდი
ლევერკუზენი : ნიურნბერგი
ჰანოვერი : გლადბახი

31-ე ტური, 28 აპრილი
ალემანია : ჰერტა
გლადბახი : შტუტგარტი
მაინცი : ჰანოვერი
დორტმუნდი : აინტრახტი
ნიურნბერგი : ვოლფსბურგი
არმინია : ვერდერი
ბაიერნი : ჰუმბურგი
ბოხუმი : შალკე
კოტბუსი : ლევერკუზენი

32-ე ტური, 5 მაისი
ლევერკუზენი : არმინია
ჰამბურგი : ბოხუმი
აინტრახტი : ალემანია
ჰანოვერი : კოტბუსი
გლადბახი : ბაიერნი
ჰერტა : ვერდერი
ვოლფსბურგი : დორტმუნდი
შალკე : ნიურნბერგი
შტუტგარტი : მაინცი

33-ე ტური, 12 მაისი
მაინცი : გლადბახი
არმინია : ჰანოვერი
ვერდერი : აინტრახტი
ალემანია : ვოლფსბურგი
კოტბუსი : ბაიერნი
ნიურნბერგი : ჰამბურგი
დორტმუნდი : შალკე
ჰერტა : ლევერკუზენი
ბოხუმი : შტუტგარტი

34-ე ტური, 19 მაისი
შალკე : არმინია
გლადბახი : ბოხუმი
ჰამბურგი : ალემანია
შტუტგარტი : კოტბუსი
ვოლფსბურგი : ვერდერი
აინტრახტი : ჰერტა
ლევერკუზენი : დორტმუნდი
ჰანოვერი : ნიურნბერგი
ბაიერნი : მაინცი

სარგებელი ᲓᲐ ᲞᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი						
		გერმანიაში						
		30 ივნისი						
19:00	408	გერმანია-არგენტინა	2.70	3.10	2.50	1.44	1.29	1.38
23:00	410	იტალია-უკრაინა	1.58	3.40	6.20	1.07	1.25	2.19
		1 ივლისი						
19:00	409	ინგლისი-პორტუგალია	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:00	412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.75	3.30	4.70	1.14	1.27	1.93
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		2 ივლისი						
20:00	450	ფრედრიკსტადი-ლინი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
20:00	452	მოლდე-სტაბეკი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
20:00	453	ვიკინგი-რუსენბორგი	2.60	3.20	2.45	1.43	1.26	1.38
22:00	454	ვოლერენგა-სანდეფიორდი	1.55	3.70	5.20	1.09	1.19	2.16
		3 ივლისი						
21:00	455	სტარტი-ტრომსიო	2.00	3.30	3.45	1.24	1.26	1.68
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		2 ივლისი						
20:00	456	ბოდო გლიმტ-ტრომსდალენი	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
20:00	457	ბრინი-ალესუნდი	2.55	3.30	2.35	1.43	1.22	1.37
20:00	458	ფოლო-სპარტა ს	2.30	3.40	2.70	1.37	1.24	1.50
20:00	459	ჰიოდი-ჰაუგესუნდი	2.45	3.30	2.55	1.40	1.24	1.43
20:00	460	ჰიონეფოსი-ლოვ ჰამი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
20:00	461	კრისტიანზენდ-ბრონბოს ვრენლანდი	1.85	3.50	3.60	1.21	1.22	1.77
20:00	462	მანგლერუდი-მოსი	3.60	3.50	1.85	1.77	1.22	1.21
20:00	463	სტრომსგოდსეტი-სოგნდალი	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
		შვედეთი. სუპერეტა						
		29 ივნისი						
21:00	464	ატვიდაბერგი-იონკოპინგი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
21:00	465	ბრომაპოიკარნა-ქვიდინგი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
21:00	466	დეგერფორსი-მიალბი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
21:00	467	ფალკენბერგი-ლანდსკრონა	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32
21:00	468	ლიუნგსკილე-ასირისკა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
21:00	469	ნორჩიოპინგი-ვესბი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
21:00	470	იორებრო-ტრელებორგი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:00	471	უმეა-სუნდსვალი	3.50	3.30	1.90	1.69	1.23	1.20
		ფინეთი						
		29 ივნისი						
19:30	484	ლაჰტი-იარო	1.80	3.30	3.70	1.16	1.21	1.74
19:30	485	მარიეჰამნი-კუოპიო	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10408	გერმანია-არგენტინა	3.10	1.90	2.90	1.17	1.49	1.14
10409	ინგლისი-პორტუგალია	2.55	2.00	3.75	1.12	1.51	1.30
10410	იტალია-უკრაინა	2.00	2.10	6.30	1.02	1.51	1.57
10412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.10	2.00	5.00	1.02	1.47	1.42

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11408	გერმანია-არგენტინა	3.80	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11409	ინგლისი-პორტუგალია	3.10	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11410	იტალია-უკრაინა	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	7.00
11412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.25	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანბრად	II-ში
15408	გერმანია-არგენტინა	3.00	2.80	2.00
15409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00
15410	იტალია-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15412	ბრაზილია-საფრანგეთი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16408	გერმანია-არგენტინა	1.80	----	1.80
16409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	----	2.10
16410	იტალია-უკრაინა	1.22	----	3.40
16412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.25	----	2.80

გოლი:ფსონი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსონად)

17408	გერმანია-არგენტინა	1.85	----	1.95
17409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	----	1.95
17410	იტალია-უკრაინა	1.85	----	1.95
17412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	----	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12408	გერმანია-არგენტინა	1.60	----	2.00
12409	ინგლისი-პორტუგალია	1.55	----	2.10
12410	იტალია-უკრაინა	1.50	----	2.20
12412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	----	1.90

გაიტანს თუ არა ორივე ბუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13408	გერმანია-არგენტინა	1.70	----	1.90
13409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	----	1.90
13410	იტალია-უკრაინა	1.90	----	1.70
13412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.70	----	1.90

რომელი ბუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრული ფასებულად ჩაითვლება)

14408	გერმანია-არგენტინა	1.80	----	1.75
14409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	----	2.20
14410	იტალია-უკრაინა	1.30	----	2.50
14412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.35	----	2.30

ვინ დაიწყებს თამაშს

19408	გერმანია-არგენტინა	1.85	----	1.85
19409	ინგლისი-პორტუგალია	1.85	----	1.85
19410	იტალია-უკრაინა	1.85	----	1.85
19412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.85	----	1.85

ვინ მოაწვდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20408	გერმანია-არგენტინა	1.80	----	1.80
20409	ინგლისი-პორტუგალია	1.70	----	1.85
20410	იტალია-უკრაინა	1.55	----	2.10
20412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.60	----	2.00

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22408	გერმანია-არგენტინა	1.80	----	1.80
22409	ინგლისი-პორტუგალია	1.95	----	1.70
22410	იტალია-უკრაინა	1.80	----	1.80
22412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.90	----	1.70

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ%) (ძირ. დრო)				
21408	გერმანია-არგენტინა	1.80	10.00	1.80
21409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	10.00	1.70
21410	იტალია-უკრაინა	2.10	10.00	1.55
21412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.95	10.00	1.60

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)			
23408	გერმანია-არგენტინა	3.00	1.30
23409	ინგლისი-პორტუგალია	3.00	1.30
23410	იტალია-უკრაინა	3.00	1.30
23412	ბრაზილია-საფრანგეთი	2.90	1.32

შემდეგ ეტაპზე გასვლა			
18408	გერმანია-არგენტინა	1.85	1.75
18409	ინგლისი-პორტუგალია	1.50	2.15
18410	იტალია-უკრაინა	1.22	3.50
18412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.30	2.80

ვინ მოაწვდის პირველ აუტს			
18408	გერმანია-არგენტინა	1.80	1.80
18409	ინგლისი-პორტუგალია	1.80	1.80
18410	იტალია-უკრაინა	1.80	1.80
18412	ბრაზილია-საფრანგეთი	1.80	1.80

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

ფორმულა 1. 30 ივნისი

19:00	1003	გამარჯვებული	მონტანი	200.00
19:00	1003	გამარჯვებული	როსბერგი	65.00
19:00	1003	გამარჯვებული	კულტხარდი	80.00
19:00	1003	გამარჯვებული	კლიენი	90.00
19:00	1003	გამარჯვებული	სპიდი	120.00
19:00	1003	გამარჯვებული	ლიუცი	120.00
19:00	1003	გამარჯვებული	ალბერსი	180.00
19:00	1003	გამარჯვებული	ტრული	45.00
19:00	1003	გამარჯვებული	უებერი	50.00
19:00	1003	გამარჯვებული	მონტეირო	150.00
19:00	1003	გამარჯვებული	ბატონი	30.00
19:00	1003	გამარჯვებული	ვილნევი	40.00
19:00	1003	გამარჯვებული	რ შუმახერი	35.00
19:00	1003	გამარჯვებული	ხაიდფელდი	25.00
19:00	1003	გამარჯვებული	მასა	13.00
19:00	1003	გამარჯვებული	მონტოია	12.00
19:00	1003	გამარჯვებული	ფიზიკელა	8.00
19:00	1003	გამარჯვებული	რაიკონენი	5.00
19:00	1003	გამარჯვებული	მ შუმახერი	4.20
19:00	1003	გამარჯვებული	ბარიკელო	35.00
19:00	1003	გამარჯვებული	საგო	220.00
19:00	1003	გამარჯვებული	ალონსო	1.60

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

საფრანგეთმა ალმაფრთოვანა

რალფ მინგემ კლინსმანს გუნდი და კრიტიკა შეუქო

მსოფლიოს ჩემპიონატს საქართველოს ნაკრების მწვრთნელებიც ესწრებიან და, ჩვენც სისტემატურად ვცდილობთ გავიგოთ, როგორია მათი თვალით დანახული მუნდიალი. რალფ მინგესთან მორიგი ინტერვიუც ამ მიზანს ემსახურება, თუმცა საუბარი ქართული თემით დავიწყეთ...

— რამდენიმე დღის წინ საქართველოში ეროვნული ნაკრების ფან-კლუბი შეიქმნა. რამდენად მნიშვნელოვნად აღიქვამთ ამას?

— ეს დიდი მოვლენაა ქართული ფეხბურთის ისტორიაში. ამის მთავარი დანიშნულება კი ისაა, რომ ფეხბურთელებს ბიძგი მისცეს, გაამხნევოს და, რაც მთავარია, კიდევ უფრო ცხადად დაანახოს მათ უდიდესი პასუხისმგებლობა.

— 16 აგვისტოს ფარერებთან მატჩამდე სად მოემზადება საქართველოს ნაკრები და როდის დაიწყება ვარჯიში?

— სჯობს, ეს კითხვა კლაუს ტოპმოლერს დაუსვათ, ის უფრო კომპეტენტურ პასუხს გაგცემთ.

— საქართველოს ნაკრების სამივე მეტოქე მეოთხედფინალშია. რას იტყვით თითოეული მათგანის თამაშზე?

— დავიწყებ საფრანგეთით: გუშინ სტადიონზე ვიყავი და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი მათი თამაშით. საფრანგეთი ისე თამაშობდა ჯგუფურ ეტაპზე, რომ მისი მერვედფინალში გასვლაც კი საეჭვო გახდა, მაგრამ გუშინ მათ დაამტკიცეს, რომ ერთ-ერთი უძლიერესთაგანი არიან და დიდი ტაქტიკური გამოცდილებაც გააჩნიათ.

...რაც შეეხება უკრაინას, მეოთხედფინალში მისი თამაში ჩემთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია. მგონი, ეს ვერც ვერავის წარმოედგინა მათი პირველი თამაშის შემდეგ, როცა ესპანეთთან 0:4 წააგეს. დღეს კი რა ხდება? ესპანეთი გამოეთიშა ჩემპიონატს, ხოლო უკრაინა ისევ გერმანიაშია... თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ მერვედფინალში უკრაინა ისეთ შვეიცარიას შეხვდა, რომელიც ძლიერ გუნდად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

...აი, იტალიამ ავსტრალიასთან მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არა მარტო ტაქტიკურად, ფსიქოლოგიურადაც ძლიერია. მათ ათი კაცით სძლიეს საკმაოდ ძლიერ მეტოქეს...

— რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით ჩემპიონატზე?

— ამის თქმა ჯერ ძნელია, სტაბილურად არავინ თამაშობს და არც რომელიმე ფეხბურთელი გამოირჩევა განსაკუთრებულად.

— ჩემპიონატს რვა ნაკრები შემორჩა და ამათგან ვინ მიგაჩნიათ ფავორიტად?

— ამ ეტაპზე არც ფავორიტის დასახელება შემიძლია. ისევ საფრანგეთს მივუბრუნდები და ვიტყვი: თუ ასე გააგრძელა თამაში, შეიძლება, ფინალშიც მოხვდეს, რასაც ვერ ვამბობ ბრაზილიაზე, რომელიც ძალიან არასტაბილურად თამაშობს. ეს კი, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.

— რას იტყვით გერმანიის ნაკრებზე?

— ძალიან ძლიერია, საკმაოდ კარგადა მომზადებული როგორც ტაქტიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად და, რაც მთავარია, საკუთარ ქვეყანაში თამაშობს.

— არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე გერმანიაში ნაკრებსა და მის მწვრთნელ იურგენ კლინსმანს ხშირად აკრიტიკებდნენ...

— დღესდღეობით მათ აღარავინ აკრიტიკებს, რადგანაც ხედავენ, რომ ეს გუნდი თითქმის უნაკლოა ამ ჩემპიონატზე — ეს კი სწორედ კრიტიკის დამსახურებაა. კლინსმანმა ყველაფერი გაითვალისწინა და შედეგიც სახეზეა. მგონი, ჩემპიონატამდე კრიტიკა ნამდვილად სჯობდა მის შემდეგ კრიტიკას...

ნინო სილაგაძე

გიგა ბოკერია: პანაცეა არ არსებობს

ხელოვნური მეთოდები ვერაფერს მოგვიტანს



ქვეყნის ხელისუფლება აქტიურადაა ჩაბმული ქართულ ფეხბურთში. პარლამენტარი გიგა ბოკერია კი მნიშვნელოვანი ფიგურაა ხელისუფლებაში და ამიტომაც ჩავთვალეთ აქტუალურად მასთან ინტერვიუ, რაც, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება არც გულშემატკივრისთვის და არც მთლიანად ქართული საფეხბურთო მილეთისთვის...

— ხელისუფლება და ფეხბურთი — როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს ეს ურთიერთობა?

— საფეხბურთო საკითხებთან უშუალო შეხება არ მქონია, ამაზე დავით კირკიტაძე, მინისტრი გიორგი გაბაშვილი და დედაქალაქის მერი გიგი უგულავა მუშაობენ. ფეხბურთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ჩემთვისაც, მაგრამ, უბრალოდ, ხელისუფლებაში ეს საქმე ასეთნაირადაა განაწილებული. მიმაჩნია, რომ სწორი კურსით მივდივართ. ვაშენებთ მოედნებს, მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო პროგრამაზე, რომელიც ჯერ არ გამოქვეყნებულა. რაც შეეხება ინვესტიციებს, სახელმწიფომ რომც სცადოს ყველაფრის შექმნა, ეს შედეგს არ მოიტანს. ჩვენ ფეხბურთს იმ მექანიზმის დაქოქვაში ვეხმარებით, რომლითაც ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა მოხდეს, რაც ინვესტიციების მოზიდვის საფუძველი იქნება.

— საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ხელფასს, ფაქტობრივად, სახელმწიფო იხდის, ხოლო გუნდის მაღალი შედეგის გარანტიას ვერავინ იძლევა — რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ეს საქართველოში შექმნილი სოციალური მდგომარეობის ფონზე?

— რისკი თან ახლავს ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ამ შემთხვევაში, სოციალური პოპულიზმის თვალსაზრისით, შესაძლებელია ხელისუფლების გაკრიტიკება, მაგრამ ხელისუფლებამ ამ გადაწყვეტილებით საფუძველი ჩაუყარა სანაკრებო ინფრასტრუქტურას, რაც აუცილებლად მოიტანს შედეგს.

— ანუ მიგაჩნიათ, რომ ნაკრების მწვრთნელისთვის რამდენიმე მილიონის გადახდა საქმის ზემოდან კეთება კი არა, საქმისთვის საფუძვლის ჩაყრაა?

— ადრინდელი ვითარების შეცვლა აუცილებელი იყო, ეროვნული ნაკრებისთვის ღირსების აღდგენა სწორედაც რომ სახელმწიფო ინტერესია. ნაკრების წინსვლა მთლიანად ქვეყანაში ვითარების გამოსწორებას შეუწყობს ხელს. ასე რომ, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ მწვრთნელის ხელფასისთვის თანხის გამოყოფა საქმის ზემოდან შენებაა. თუმც ხელისუფლებას თავისი წილი პასუხისმგებლობაც აკისრია ამ საქმეში.

— ხელისუფლება რომ აქტიურად ჩაერია ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ არჩევნებში, ამაზე რას იტყოდით?

— უბრალოდ, ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა იმ თამაშის წესების შენარჩუნება ფეხბურთის ფედერაციაში, რაც მანამდე იყო. ხელისუფლებას, უბრალოდ, ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილი სიტუაციის მიმართ.

— როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, შეგიძლიათ, საფეხბურთო სამყაროს დაპირდეთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში სახელმწიფო სრულ ნეიტრალიტეტს დაიცავს?

— დაბრუნდეს ის, რაც ადრე იყო — ასეთ ტენდენციას ვერ წავახალისებთ. იმედი მაქვს, ახლა საფეხბურთო სამყაროში უწინდელზე ბევრად ჯანსაღი ვითარებაა.

— საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ფეხბურთში ინვესტიციებს ანხორციელებენ — ასეთი რამ აზერბაიჯანში უკვე მოხდა და საქართველოს ხელისუფლებაც ხომ არ განიხილავს ამ საკითხს?

— ასეთი საკითხი არ განხილულა და რომც განხილულიყო, საგადასახადო შეღავათების წინააღმდეგი ვიქნებოდი, რადგან ასეთი შეღავათები სახიფათოა, ამან შესაძლოა, კორუფციის აღმავლობა გამოიწვიოს. მიმაჩნია, რომ ასეთი საგადასახადო პრივილეგიების დაწესება პანაცეა არ არის.

— როცა ქართულ კლუბებს სპორტული ინვენტარი შემოაქვთ არაკომერციული მიზნებისთვის, ეს საქონელი ისევე იბეგრება, როგორც კომერციული ტვირთი — ასეთ შემთხვევაშიც შეუძლებელია შეღავათის დაწესება?

— საქართველოში მაღე შემცირდება ყველა საბაჟო გადასახადი. საგადასახდო ტვირთის შემსუბუქების მომხრე ვარ, მაგრამ არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სფეროსთვის.

— ყველა ქართული საფეხბურთო კლუბი არარენტაბელურია, კლუბების მფლობელებს არანაირი საგადასახადო შეღავათები არ აქვთ; ზოგიერთ კლუბს სახელმწიფო ან სახელმწიფო შპს ეხმარება; ზოგს არც არავინ ეხმარება — რაღაც სისტემაში ხომ უნდა მოექცეს საკლუბო მეურნეობა...

— სისტემა მართლაც მოსაფიქრებელია. თუ სახელმწიფო ხარჯავს ფულს საფეხბურთო კლუბებზე, ყველაფერი მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იყოს. ისე, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია სახელმწიფო ხელშეწყობა ფეხბურთში სარეკლამო ბაზრისთვის. საქართველოში აკრძალულია ლუდის რეკლამა ფეხბურთში და საერთოდ სპორტში, მაგრამ იგეგმება, რომ ლუდის რეკლამირება დასაშვები გახდეს — ეს პირადად ჩემი პოზიციაა.

— მხოლოდ ეს ვითარებას ალბათ დიდად ვერ შეცვლის — რა მიგაჩნიათ პანაცეად ამ ეტაპზე ქართული ფეხბურთისთვის?

— არა მგონია, პანაცეა არსებობდეს. უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ საფეხბურთო კლუბის პატრონობა მომგებიანი გახდეს, ანუ უნდა ველოდოთ ეკონომიკურ ზრდას, თორემ ხელოვნური მეთოდები ვერაფერს მოგვიტანს.

— ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს ნაკრების ჰიმნის და ფან-კლუბის პრეზენტაციას ესწრებოდით. არსებობს აზრი, რომ ბოლო დროს ჩვენში ყველაფრის თეატრალიზება ლამის წესად იქცა...

— ნებისმიერი რამ, რასაც აკეთებ, მიმზიდველი უნდა იყოს. მთავარია, ამ ყველაფერს კარგი შედეგი მოჰყვეს. სპორტი სახელმწიფოსთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ახალგაზრდების შანსი წარმატებისთვის, ქვეყნის ღირსება — ხელისუფლება ამ ყოველივეს კარგად ათვითცნობიერებს.

— ადრე ჟურნალისტადაც მუშაობდით და საინტერესოა, რა აზრის ხართ თანამედროვე ქართულ სპორტულ მედიაზე?

— სპორტულ მედიაში უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე დანარჩენ ქართულ მედიაში, რადგან სპორტულ მედიაში პროფესიული სტანდარტები უკეთეს მდგომარეობაშია პასუხისმგებლობის, მიუკერძოებლობის და „სიყვითლის“ თვალსაზრისით.

დავით თავართქილაძე

გურამ დოლიძე/ეროვნული ფოტოები

ბოიომო ფრიდოლინი, გასტონ ეკოჩე, ერიკ ჯასემი და პიერ მონგი

სიონის პირველი აფრიგოლი

კამერუნელები ხარკოვმა დატოვა

ყირიმში მოსამზადებლად მყოფმა საქართველოს ჩემპიონმა ბოლნისის „სიონმა“ მეოთხე ამხანაგური მატჩი გამართა და ამჯერადაც მოგებული დარჩა — ჩვენებმა უკრაინული „ხარკოვი“ 2:0 დაამარცხეს.

ხარკოველებთან თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა ბოლნისელთა პოტენციურმა ახალწვეულმა, კამერუნელმა ფორვარდმა ერიკ რომეო ჯასემმა, რომელმაც ლამის ცენტრიდან წაიღო ბურთი და „სიონი“ ულამაზესი გოლით დააწინაურა. შესვენების შემდეგ კი შორეული დარტყმით კოკა მიკუჩაძემ მეორედ დაამწუხრა ხარკოველები.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში „სიონის“ მწვრთნელმა კახა ცხადაძემ ოთხივე კამერუნელი ფეხბურთელი ათამაშა და, როგორც ნამატჩევს თავადვე აღნიშნა, ოთხივეთი კმაყოფილი დარჩა. განსაკუთრებით კი მწვრთნელს თავი მეგოლე ჯასემმა და ცენტრალურმა მცველმა ფრიდოლინმა მოაწონეს. როგორც შევიტყვეთ, ცხადაძე ოთხივე კამერუნელის გუნდში დატოვებას აპირებს.

„ხარკოვთან“ ამ ლეგიონერების გარდა მწვრთნელმა თითქმის ყველა ფეხბურთელი ათამაშა, ვინც შეკრებაზე ჰყავს და მატჩისას ყოველ 10-15 წუთში ერთ შეცვლას აკეთებდა.

ყირიმულ შეკრებაზე ბოლნისელები ერთი ამხანაგური მატჩის გამართვასაც აპირებენ, თუმცა ჯერჯერობით მეტოქე არ შეუგულებიათ.

„სიონი“ შინ 1 ივლისს დაბრუნდება და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანულ „ბაკისთან“ მატჩისთვის აქვე გააგრძელებს მზადებას. „ბაკისთან“ პირველ შეხვედრას კი ბოლნისელები 11 ივლისს თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გამართავენ. მატჩი 19 საათზე დაიწყება.

კობა ინასარიძე

ბაკი ქართველებზე ქართველებმა დააფიქრეს

აზერბაიჯანული „ბაკი“ ბოლნისის „სიონთან“ სათამაშოდ ემზადება და სატრანსფერო ბაზარზეც აქტიურობს. ბაქოელებს განსაკუთრებით საყრდენი ნახევარმცველის შეძენა სურთ. ეს ვაკანსია გუნდიდან ალექსანდრე რეხვიაშვილის წასვლის მერე გაჩნდა, თან მეორე ქართველს, ალექსანდრე გოგობერიშვილს ტრავმა აწუხებს და, შესაძლოა, „სიონთან“ ვერ ითამაშოს.

მოკლედ, „ბაკი“ მიდგა-მოდგა და 2004 წლის ჩეხეთის ჩემპიონ ლიუბომირ კუბიცას მიაკვლია. 27 წლის ჩეხი ნახევარმცველი ორიოდ წლის წინ მშობლიურ „ბანიკში“ თამაშობდა, მერე ყაზახურ „ირტიშში“ გადავიდა, ბოლო სეზონი კი ისევ „ბანიკში“ გაატარა. ბაქოელები კმაყოფილნი არიან კუბიცას შესაძლებლობებით — განსაკუთრებით მისი შორეული და ზუსტი დარტყმებით მოხიბლულან და ალბათ კონტრაქტსაც დღე-დღეზე გაუფორმებენ.

საინტერესოა, რომ კუბიცამდე აზერბაიჯანის ჩემპიონებმა ფრანგული „კანის“ კამერუნელი შუახაზელი ტიერი დაიწუნეს, 28 წლის რუმინელი მიხაი იონესკუ კი ახლაც გასინჯვაზე ჰყავთ, თუმც ალბათ არ დაიტოვებენ.

კახა ზალამგერიძე

დინამო შაბათს რიდს მოერიდა, კი დაეჯახება

ავსტრიულ ფონსდორფში თბილისის „დინამომ“ მეორე ამხანაგური მატჩი ჩაატარა, მეტოქე ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის „ლეობენი“, შედეგი კი 4:3 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ჩვენები დასაწყისშივე დაწინაურდნენ. ვაწაძემ მცველების შეცდომით ისარგებლა და ახლოდან გაიტანა. ავსტრიელებმა წონასწორობა მალევე აღადგინეს — მე-5 წუთზე პარაპატისმა თავურით შეაგდო.

მერე კი „ლეობენის“ ფორვარდ პოტეკის ჰეთ თრიქი იყო, მან შესვენებამდე ორჯერ შეძლო გატანა, ერთიც მეორე ტაიმის შუაში შეაგდო...

სხვაობა 77-ე წუთზე იაშვილმა შეამცირა, მცველებს აუარ-ჩამოუარა და ისე გაიტანა, თუმცა წუთშივე შესაცვლელი გახდა — სანდრო დაშავდა და მწვრთნელებიც გართულებას მოერიდნენ. ჩვენების მესამე გოლი მერებაშვილმა გაიტანა.

საინტერესოა, რომ „ლეობენი“ — „დინამოს“ შეხვედრას ავსტრიული „რიდის“ მწვრთნელებიც ესწრებოდნენ — მომავალ მატჩს „დინამო“ ხომ სწორედ „რიდთან“ შაბათს გამართავს — თუმც დინამელებმა კოზირები დამალეს. მოგეხსენებათ, ეს შეხვედრა ინტერტოტოს თასის მეორე ეტაპისა იქნება და ადგილობრივი დროით 19 საათზე დაიწყება.

„ლეობენთან“ თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *ლორია, ლობჟანიძე, თომაშვილი, აკობია, ნავალოვსკი, გ. კაშია, კ. მაზარაძე, ნერგაძე, ზ. ჯანაშია (გ. მერებაშვილი 58), ვაწაძე, იაშვილი (ბობოხიძე 79).*

„დინამო“ შინ 5 ივლისს დაბრუნდება.

ლუკა თალაკვაძე

კახა მჟავანაძე: ჩემპიონთა ლიგა და ნაკრები სულ სხვაა

კახა მჟავანაძე ზამთარში გადავიდა ოდესის „ჩერნომორეცში“ და შავიზღვისპირელებმა რომ უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს, მისი დამსახურებაცაა. 26 წლის მცველმა იოლად დაიმკვიდრა გუნდის ძირითადში ადგილი და სათადარიგოთა სკამის „პერსპექტივა“ არც ემუქრება. „ჩერნომორეცის“ ვებგვერდმა კახას ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ჩვენიანი თავის კლუბსა საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე საუბრობს...

— ნახევარი წელიწადია, „ჩერნომორეცში“ ხართ. რამდენად კმაყოფილი დარჩით წინა სეზონით?

— მესამე ადგილი დავიკავეთ და, ცხადია, კმაყოფილი ვარ. „ჩერნომორეცთან“ სამწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, მაგრამ ახლა რომ შემომთავაზონ, კიდევ სამი წლით უყოყმანოდ გავაგრძელებდი და იმედია, ასეც მოხდება. საერთოდაც, ოდესაში საცხოვრებლად მინდა დარჩენა. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ცუდად ვცხოვრობდი, მაგრამ აქაურობა ძალიან მომწონს, ხალხი მცნობს, სასიამოვნო ატმოსფეროა, რასაც ყველა ქალაქში ვერ იგრძნობ. სხვათა შორის, მახაჩყალაშიც ასე იყო.

— ოდესელი ქომაგები დაღესტნელებზე და ქართველებზე ტემპერამენტიანები არიან?

— კი. ქართველებს ტემპერამენტიანობა სტერეოტიპად შეუქმნეს. მაგალითად, მე ქართველი ვარ, მაგრამ ძალიან წყნარი ადამიანი გახლავართ. რა თქმა უნდა, საქართველოში ძალიან უყვართ ფეხბურთი, მაგრამ ოდესაც არ ჩამორჩება ამ მხრივ. საერთოდ, შევეჩვიე სამხრეთ პალმირას, აქ შესანიშნავი ხალხი ცხოვრობს.

— საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონატს უკრაინასთან როგორ შეადარებდით?

— „ჩერნომორეცი“ რუსულ პრემიერლიგაში მაღალ ადგილს დაიკავებდა. ჩვენ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს, გუნდური თამაში კარგად გამოგვდის. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მწვრთნელია მცოდნე, ხელმძღვანელობა გვერდში გვიდგას და მეტი რაღა დარჩა საიმისოდ, რომ ფეხბურთი კარგად ითამაშო?!

— მალე „ჩერნომორეცი“ უეფას თასზე ითამაშებს. როგორც ვიცით, მოსკოვის „სპარტაკში“ ყოფნისას ჩემპიონთა ლიგაში მიგიღიათ მონაწილეობა...

— ეს 2000 წელს იყო, თუმცა მხოლოდ ორი მატჩი ვითამაშე. რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგა სულ სხვა დონეა — მინდორზე გასვლისთანავე გრძნობ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში კი არა, ლიგაში ხარ. ასეთივე განსხვავებულ აურას ვგრძნობ ნაკრებში თამაშისასაც.

— სიტყვამ მოიტანა და, როგორ მიდის თქვენი საქმე საქართველოს ნაკრებში?

— ნაკრებში ბოლო გამგზავრება არცთუ წარმატებული გამომივიდა — ახალ ზელანდიასთან მატჩში კუნთი დამეჭიმა და პირველი ტაიმის შემდეგ გამომცვალეს. მეორე ამხანაგურ მატჩში პარაგვაისთან სწორედ ტრავმის გამო ვერ ვითამაშე, თუმცა ჩვენმა ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, განსაკუთრებით კი ჩემმა ოდესელმა თანაგუნდელმა ილია კანდელაკმა ითამაშა კარგად. ვფიქრობ, ის ნაკრების ძირითადში დამკვიდრდება მომავალ შესარჩევ ციკლში. მე კი ტრავმა აღარ მაწუხებს, კუნთმა ერთ კვირაში გამიარა.

— „ჩერნომორეცში“ თქვენ, კანდელაკი და გიორგი შაშიაშვილი თამაშობთ. შეიძლება ითქვას, ოდესური კლუბი ლამის საქართველოს ნაკრების საბაზოდ იქცა...

— მიხარია, რომ შაშიაშვილი ჩვენთან გადმოვიდა — ის ძალიან კარგი მცველია, თუმცა სამივენი ვიქნებით თუ არა ნაკრებში, დარწმუნებით ვერ გეტყვით...

ირაკლი სამხარაძემ დნიპროს ჩააკითხა

22 წლის ნახევარმცველი ირაკლი სამხარაძე დნიპროპეტროვსკის „დნიპროში“ ისინჯება, რაც ცოტა მოულოდნელიც კია. საქმე ისაა, რომ სამხარაძე ბოლოხანს „გაგრაში“ თამაშობდა და საქართველოს პირელი ლიგიდან უკრაინის ერთ-ერთი სახელიან გუნდში მოხვედრა ნაღდად უჩვეული პრეცედენტია.

სამხარაძემ ტესტ-მატჩშიც ითამაშა — რუსულ „მოსკვასთან“ (0:1) მე-60 წუთზე შევიდა მინდორზე.

სხვათა შორის, ზამთარში ირაკლი კიევის „არსენალშიც“ ისინჯებოდა, ოღონდ მაშინ მალევე მოუხდა უკან გამობრუნება. ამჯერად რა იქნება, ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

ღია კარის ვარჯიში

ახალგაზრდულს მარკოიშვილი დააკლდა



ბურაბ დოლაბერიძისა და ბესიკ ლეჟავას ფოტო

დავით უსტიაშვილმა შეგირდები შემოიკრიბა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ორი კვირის წინ შეიკრიბა დიღმის ბაზაზე, თუმც გუშინ ევროსაკვალიფიკაციო ტურნირისვის მზადების ახალ ეტაპზე გადავიდა. თუ აქამდე ახალგაზრდები დღეში ერთხელ აკითხავდნენ „დინამოს“ ბაზას, დღეიდან ისინი ორჯერად ვარჯიშებზე გადავლენ და ნამდვილი შეკრებაც აქედან დაიწყება.

აქამდე დავით უსტიაშვილის გუნდი დახურულ კარს მიღმა ვარჯიშობდა, გუშინ კი ღია კარის დღე გამოცხადდა და ჟურნალისტები ორმხრივი მატჩის სანახავად მიიწვიეს. უსტიაშვილის განკარგულებაში ნაკრების 14 კანდიდატი იყო, რომლებიც მცირე მოთელვის შემდეგ ორად გაიყვნენ და საჩვენებელი თამაშიც გაიმართა.

მოედანზე იყო ყველა, ვინც ამ ასაკში რამის მაქნისია. მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილი ვერ დაელანდეთ, რომელიც რამდენიმე დღეა, სლოვენიიდან ჩემპიონად დაბრუნდა. უსტიაშვილი თავიდან ამბობდა, მხოლოდ მანუჩარი გვაკლია, მას ფეხი აწუხებს და სავარჯიშოდ ვერ მოვიდაო. მერე კი გაირკვა, რომ მარკოიშვილი პორტუგალიაში საერთოდ არ გაჰყვება ნაკრებს. ის ნაოპერაციევი ფეხის ბოლომდე მოშუშებას ეშურება და სლოვენიიდან სპეციალური სარეაბილიტაციო ვარჯიშების პროგრამის მოლოდინშია.

14 კანდიდატის სია კი ასე გამოიყურება: მიხეილ ბერიშვილი, გიორგი გაფრინდაშვილი, ირაკლი გულისაბედაშვილი, ნიკა ჩხატარაშვილი, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, დავით საყვარელიძე, ლაშა გამყრელიძე, დავით გვიმრაძე, მიხეილ ჭოჭუა, რევაზ დიდია, ბესიკ ლეჟავა, რევაზ ათანელიშვილი და ლექსო ლაფანაშვილი.

ჰოდა, უსტიაშვილმა ეს ჯეელები ორად გაყო, ერთს თავად ჩაუდგა სათავეში, მეორე ნაწილი თავის თანაშემწე გელა წულაძეს ჩაბარა და ორმხრივი სპარინგიც გაიჩაღდა.

ბურაბ დოლაბერიძისა და ბესიკ ლეჟავას ფოტო

დავით საყვარელიძე (ბურთით) ვიქტორ სანიკიძის წინააღმდეგ

მსაჯად ზაზა მაჩალაძე იყო მოწვეული. საქართველოს ჩემპიონატში სტვენას მიჩვეულს ამჯერად საქმე თითქმის არ ჰქონია — თამაში სავარჯიშო ხასიათის იყო და კალათბურთელები უხეშობას ერიდებოდნენ.

ხუთეულები ასე გამოიყურებოდა:. ცინცაძე, დიდია, სანიკიძე, ჭოჭუა, გვიმრაძე — გამყრელიძის, ათანელაშვილის, საყვარელიძის, ლეჟავასა და ჩხატარაშვილის წინააღმდეგ. ამათ მორიგეობით კი ენაცვლებოდნენ დანარჩენები, მაგრამ ცინცაძისიანებმა მაინც იოლად დაჯაბნეს მეტოქე და 70:58 იმარჯვეს.

თამაშის მერე უსტიაშვილმა თქვა, რომ ყველა კალათბურთელის კმაყოფილია, ისინი კეთილსინდისიერად და ჯიგრით ვარჯიშობენო. ამ 14 კაცს 2 უნდა გამოაკლდეს და საპორტუგალიო ნაკრებიც გაცხადდება.

შეგახსენებთ, რომ საკვალიფიკაციო ტურნირი 14 ივლისს იწყება და ჯგუფში ქართველთა მეტოქეები ისლანდიის, ფინეთისა და ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრებები არიან.

ირაკლი პერტაია

საქართველოს ჩემპიონატი. თბილისი. 28-29 ივნისი

ბურაბ დოლაბერიძისა და ბესიკ ლეჟავას ფოტო

არ უნდა კამათი!

გამოსავალი ნეიტრალური მსაჯებია

ვაკის ტანვარჯიშის დარბაზში გუშინ დაიწყო და დღეს დასრულდება საქართველოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში იუნიორებსა და უფროსებს შორის. ტურნირში საქართველოს თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჩაერთო, რაც კარგი სანახაობის იმედს იძლეოდა. ველოდით დაძაბულობასაც. შეგახსენებთ, რომ მეორე წელია, მხატვრულად ტანმოვარჯიშეები ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციას გამოეყვნენ. შესაბამისად, მეორე წელია, ამ ორ მხარეს შორის, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ თბილი დამოკიდებულებაა.

დაპირისპირებასა და გაურკვევლობაში ბევრმა საერთაშორისო ტურნირმა ჩაიარა ქართველების გარეშე. ხოლო თუ გუნდი წავიდოდა, შემადგენლობის ოპტიმალურობა მუდამ საკამათო თემა ხდებოდა. შიდა კონკურენციაზეც ძნელი იყო საუბარი, რადგან ორი ბანაკის სპორტსმენები ერთმანეთს ვერსად ეჯიბრებოდნენ.

წესით, ძლიერი და სუსტი გუშინ უნდა გამოჩენილიყო. მრავალჭიდში ჩემპიონ-პრიზიორები მართლაც გამოვლინდნენ, მაგრამ გვარიანი კამათის და გარჩევების ფონზე. მოდავეები მსაჯები იყვნენ, თითქმის ყოველი მეორე ტანმოვარჯიშის გამოსვლის შემდეგ, მთავარი მსაჯი მანანა ცაბაძე თავისთან უხმობდა კარდინალურად განსხვავებული ქულების დამწერთ, რომლებიც ერთმანეთს, თავისი შეგირდების არასწორ შეფასებაში სდებდნენ ბრალს. მხარეთა ბრალდებებსა და არგუმენტებზე საუბარს ამჯერად არ ვაპირებთ. მით უმეტეს, რომ გაერთიანებაზე მიდის ლაპარაკი და არ გვინდა, მერე კონფლიქტის თავიდან გაღვივება ჩვენ დაგვაბრალონ.

ისე კი, როგორც არ უნდა დაახლოვდნენ და ერთ გუნდად შეიკრან, ძველი დაპირისპირება მსგავს შიდა ტურნირებზე თავისით გაღვივდება-ხოლმე, თუკი მსაჯები არ მიხვდებიან, რომ არაობიექტურობით პატარა სპორტსმენების ფსიქოლოგიას ანადგურებენ. ყველაზე მეტად კი ამით ქართული ტანვარჯიში დაზარალდება.

როგორც ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ რუსუდან სიხარულიძისგან შევიტყვეთ, მსაჯებს შორის უთანხმოება და დაპირისპირება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა - ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც თავისი შეგირდის წინ წამოწევას ეცდებიანო. საუკეთესო გამოსავალი ნეიტრალური მსაჯების დანიშვნაა. თუ რამე შეეშლებათ, ერთმანეთის გადაწყვეტილებებს ეჭვის თვალით მაინც არ დაუწყებენ ყურებას.

ოთარ მაღლაკელიძე

მრავალჭიდი

იუნიორები	უფროსები
1 ელენე ტიტოვა	1 ქეთი ხატიაშვილი
2 ნინო ქურდაძე	2 თათია დონაძე
3 სოფო ხოფერია	3 ლიკა ჯორბენაძე

ნინო სალუქვაძე პირველის პირველია

გუშინ ნინო სალუქვაძის ტირში დასრულდა სამდღიანი ტურნირი ტყვიის სროლაში, რომელიც საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ და დაღუპულ სპორტსმენთა ხსოვნას მიეძღვნა.

ამ ტურნირს წლეულს ჩაეყარა საფუძველი და ამიერიდან ტრადიციული იქნება.

გუშინ დასრულებულ შეჯიბრში ორივე სქესის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. მედლები ასევე გათამაშდა ახალგაზრდა ტყვიის მსროლელებს შორის.

საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლ და დაღუპულთა ხსოვნის ტურნირში თავად ნინო სალუქვაძეც მონაწილეობდა, რომელმაც, რა თქმა უნდა, პირველობა არავის დაუთმო. საქართველოს ტყვიის სროლის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ქუთაისელ ნინო უჩაძესა და თბილისელ თამილა ასათიანს აჯობა და აწ უკვე ტრადიციულად ქცეული ტურნირის პირველი გამარჯვებული შეიქნა.

კაცები

სერგი ჩიტიშვილი (თბილისი)
გია სვანიძე (ქუთაისი)
ზურაბ კიკვაძე (თბილისი)

ჭაბუკები

ირაკლი გაბაიძე (თბილისი)
ილია მაჭარაშვილი (თბილისი)
გიორგი ტურიაშვილი (თბილისი)

ქალები

ნინო სალუქვაძე (თბილისი)
ნინო უჩაძე (ქუთაისი)
თამილა ასათიანი (თბილისი)

გოგონები

თამუნა მუყარაშვილი (თბილისი)
მეგი ქადაგიძე (თბილისი)
თეონა იაშვილი (თბილისი)

ქართულ-ბრაზილიური სერიალი გრძელდება

ქართულპასპორტიანმა ბრაზილიელებმა რენატომ და ჟორჟიმ, იგივე გეორ და გიამ ნორვეგიული ფრენბურთობა ერთ დღეში დაასრულეს.

ჰლაჟის ფრენბურთში ჩვენმა წყვილმა მორიგი მსოფლიო ტური საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო. გეორ და გია პირველი საკვალიფიკაციო წრისგან თავისუფლები იყვნენ. მეორე წრეში ქართველმა ბრაზილიელებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მე-17 ნომრად განთესილ იაპონელებს შირატორის და ნიშიმურას 2:1 მოუგეს. მეორე წრეში კი პირველ ნომრებთან, ბრაზილიელ კუნიასთან და ფრანკოსთან ორმოც წუთში 0:2 წააგეს. ამ მარცხით გეორ და გია ტურნირის ძირითად ბადეში ვერ მოხვდნენ.

რაც გეორ და გია საქართველოს დროშით თამაშობენ, უკვე მე-5 ტური მოილიეს და საპრიზო 10 ათას 500 დოლარიც მოინაგრეს. რეიტინგში კი 470 ქულით 27-ე ადგილზე არიან, რაც დებიუტისთვის თავისთავად კარგი შედეგია.

ბაჩო სვანიძე

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £

ეშმაკების დოლი და აბრამოვიჩის ნულები

ირაკლი ლაბაძე უიმბლდონზე გამარჯვებით დაბრუნდა

28 ივნისი

კაცები

პირველი წრე

ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:4 4:6 5:7 6:3 6:1; **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — ალბერ მონტანიესი (ესპანეთი) 6:3 6:4 7:6; **ფლორიან მაიერი** (გერმანია) — რობინ ვიკი (ჩეხეთი) 6:3 6:3 6:3; **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) 6:3 6:4 6:4; **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) — ალესიო დი მაურო (იტალია) 6:3 6:4 6:1; **დმიტრი ტურსუნოვი** (27, რუსეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:1 6:4 6:2; **იარკო ნიემინენი** (22, ფინეთი) — მარკოს დანიელი (ბრაზილია) 6:2 6:4 7:5; **მარტინ ლი** (ბრიტანეთი) — დიკ ნორმანი (ბელგია) 6:2 7:6 7:6; **ალეხანდრო ფალა** (კოლუმბია) — ნიკოლაი დავიდენკო (9, რუსეთი) 2:6 7:6 7:6 6:3; **მელე ვან გემერდენი** (ჰოლანდია) — ჯოშუა გუდოლი (ბრიტანეთი); **მარდი ფიში** (აშშ) — რობი ჯინეპრი (17, აშშ) 6:3 6:2 6:4; **გასტონ გაუდიო** (16, არგენტინა) — ჟან-კრისტოფერ ფორელი (საფრანგეთი) 7:6 3:6 6:2 6:4; **დავიდ ფერერი** (23, ესპანეთი) — სიმონ სტადლერი (გერმანია) 6:1 6:4 6:4 ; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — ბიორნ ფო (გერმანია) 5:7 6:4 6:2 7:6; **ივან ლიუბიჩიჩი** (5, ხორვატია) — ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4 5:7 3:6 11:9; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 6:1 6:1 6:3; **სებასტიან გროუანი** (15, საფრანგეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:2 6:4; **ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპანეთი) 7:6 6:4 6:4; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — ალან მაკინი (ბრიტანეთი) 6:4 6:7 6:7 7:5 6:2; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:7 6:4 7:6 6:2; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (კორეა) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 7:6 6:3 7:5; **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 7:6 4:6 7:6 6:2;

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — 6:4 6:0 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (4, არგენტინა) — არნო კლემანი (საფრანგეთი) — 6:4 6:4 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (24, ესპანეთი) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) — 6:3 7:6 6:3; **რადეკ შტეპანეკი** (14, ჩეხეთი) — ქაავიე მალისი (ბელგია) — 6:3 6:7 7:5 6:1; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — კრისტოფ ვლიგენი (30, ბელგია) 6:4 6:4 6:3; **მარიო ანჩიჩი** (7, ხორვატია) — დავიდ სანგინეტი (იტალია) 6:4 6:2 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (8, აშშ) — იუ-ცუ ვანგი (ტაივანი) 6:4 6:2 4:6 6:2; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:1 3:0 *(უარი)*; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — აგუსტინ ჯალერი (არგენტინა) 7:6 7:5 6:3; **მაძს მირნი** (ბელორუსია) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 7:6 6:4 6:7 6:3; **ტომი ჰაასი** (19, გერმანია) — რიჩარდ ბლუმფილდი (ბრიტანეთი) 6:3 6:4 7:6; **ფერნანდო ვერდასკო** (28, ესპანეთი) — ბენჟამინ ბეკერი (გერმანია) 6:4 6:7 4:6 6:3 9:7; **ტომაშ ბერდიხი** (13, ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4 6:7 2:6 7:6 *(გადაიდო)*; **ტომი რობრედო** (11, ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:7 *(გადაიდო)*

ქალები

პირველი წრე

ამელი მორესმო (1, საფრანგეთი) — ივანა აბრამოვიჩი (ხორვატია) 6:0 6:0; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:0 6:4; **მარტინა მიულერი** (გერმაანია) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:4 6:4; **ლიზა რეიმონდი** (აშშ) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 3:5 *(უარი)*; **ვინუს უილიამსი** (6, აშშ) — ბეტანი მატეკი (აშშ) 6:1 6:0; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ანა სმაშნოვა (ისრაელი) 6:2 6:0; **შაჰარ პირი** (20, ისრაელი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:2 6:1; **შუაი პენგი** (ჩინეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:4 6:4; **ლაურა გრეინვილი** (აშშ) — მარიტ ანი (ესტონეთი) 6:1 7:6; **ფლავია პენეტა** (16, იტალია) — სანდრა კლოზელი (გერმანია) 5:7 6:4 6:2; **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) — იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკეთი) 6:2 6:3; **ტატიანა გოლოვინი** (29, საფრანგეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 3:6 6:2 9:7; **ემი ფრეიზერი** (აშშ) — მარა სანტანჯელო (32, იტალია) 3:6 6:3 6:4; **აშლი ჰაკლროუდი** (აშშ) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:3 6:2; **მელინდა შინკი** (უნგრეთი) — ლაურა პოუს ტიო (ესპანეთი) 6:3 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (26, სერბეთი) — ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) 6:3 6:4; **მეგან შონესი** (აშშ) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 4:6 6:2 6:3; **ვანია კინგი** (აშშ) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 5:4 *(უარი)*; **მელანი საუტი** (ბრიტანეთი) — ფრანჩესკა სკიავონე (11, იტალია) 3:6 6:3 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — მიქაელა კრაიჩეკი (ჰოლანდია) 7:5 6:3; **ანა ივანოვიჩი** (19, სერბეთი) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 7:5 7:6; **ანასტასია როდიონოვა** (რუსეთი) — ემილი ლოიტი (საფრანგეთი) 1:6 7:6 6:4; **ელენა ლიხოვცევა** (25, რუსეთი) — სტეფანი ფორეცი (საფრანგეთი) 6:0 6:2; **ტიან ტიან სუნი** (ჩინეთი) — ნატალი ვიერინი (იტალია) 6:3 6:4; **მაშონა ვაშინგტონი** (აშშ) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:3 6:4; **სარა ბორველი** (ბრიტანეთი) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) 6:3 6:7 6:4; **კლარისა ფერნანდესი** (არგენტინა) — კონჩიტა მარტინეს-გრანადოსი (ესპანეთი) 6:2 4:6 4:3 *(უარი)*; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (23, ესპანეთი) — სუვეი ჰის (ტაივანი) 6:3 6:2; **შენეი პერი** (ბრიტანეთი) — კრისტინა ბაროისი (გერმანია) 7:5 5:7 8:6; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) 7:6 7:5; **დინარა საფინა** (14, რუსეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 3:6 7:5 7:5; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) ნატალი დეში (22, საფრანგეთი) 7:5 7:5

მეორე წრე

კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — ვიქტორია კუტუზოვა (უკრაინა) *(უარი)*; **ში შენგი** (ჩინეთი) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) — 7:6 5:7 6:3; ნიკოლ ვაიდიშოვა (10, ჩეხეთი) — კატერინა ბონდარენკო (ხორვატია) 6:1 6:1; **კაროლინა შპარეი** (ხორვატია) — მარიონ ბარტოლი (14, საფრანგეთი) 3:6 6:2 6:3; **ნა ლი** (27, ჩინეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2 6:4; **ანა ჩაკვეტაძე** (30, რუსეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:4 3:6 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (5, რუსეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 4:6 6:1 6:4; **შუსტინ ენინარდენი** (3, ბელგია) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:1 6:2; **გიზელა დულკო** (32, არგენტინა) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 7:5 6:4; **აი სუგიამა** (18, იაპონია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 6:2 7:5; **მარტინი ჰინგისი** (12, შვეიცარია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:1 6:2; **ტამარინ ტანასუგარნი** (ტაილანდი) — შინოგუ ასოგოე (იაპონია) 6:3 5:5 *(გადაიდო)*; აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 7:5 5:5 *(გადაიდო)*; **პატი შნიდერი** (8, შვეიცარია) — სევერინ ბრემონდი (საფრანგეთი) 6:4 1:6 2:1 *(გადაიდო)*;



AFP ლონდონიდან

ლეიტონ ჰიუიტმა პირველი წრე სავარჯიშოდ გამოიყენა

წარმატებულად დაიწყო წლის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე თამაში ირაკლი ლაბაძემ. ჩვენებურს დიდი ომის გადატანა კი მოუხდა ალექსანდერ პეიასთან, თუმც ამ ბოლო დროს 5-სეტიანებს მიჩვეულმა ქართველმა მაინც თავისი გაიტანა და მეორე წრესაც უწია.

ლაბაძემ კარგად კი დაიწყო, როცა საწყისი სეტიც მოიგო და მეორეში მალევე გააკეთა ბრეიკი, მაგრამ მერე ვერ შეძლო აღებული ტემპის შენარჩუნება, რის გამოც ჯერ მეორე პარტია წააგო, შემდეგ კი სულაც წინ გაუშვა ავსტრიელი. თუმც მატჩის სათავისოდ შემობრუნება ირაკლის წლეულს უკვე არაერთხელ მოუხდა და გუშინაც შეძლო სიტუაციის გამოსწორება.

მეორე წრეში ლაბაძეს ძალიან სერიოზული მეტოქე ჰყავს უიმბლდონზე მეთექვსმეტე ნომრად განთესილი გასტონ გაუდიოს სახით. თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენებური უშანსოდაა: სხვა საქმე იქმნებოდა, ეს მატჩი თიხნარზე რომ გამართულიყო, სადაც არგენტინელი ასად ითვლება. აი, ბალახზე კი ლაბაძეს არამარტო წინააღმდეგობის გაწევა, მოგებაზე ფიქრიც შეუძლია.

სხვა მხრივ კი გუშინდელი დღე ძალიან საინტერესო გამოდგა. როჯერ ფედერერი კი ყველას ჯინაზე ისეთ ფორმაშია, რომ მისი გამჩერებელი საეჭვოა გამოჩნდეს. შვეიცარიელმა სკეპტიკოსები კიდევ ერთხელ დაადუმა, როცა ტიმ ჰენმანი უბრალოდ, უშანსოდ დატოვა ათასობით გაგიჟებული გულშემატკივრის წინაშე. აი, ჰენმანს კი, რომელიც სავარაუდოდ ბოლოჯერ გავიდა უიმბლდონურ ბალახზე, ძალიან არ გაუმართლა. ბრიტანელი კარგ ფორმაში იყო და საკმაოდ შორსაც წავიდოდა, მაგრამ „მხიარული როჯერის" დასამარცხებლად მას ზებუნებრივი თამაში უნდა ეჩვენებინა, რაც ერთიორს თუ გამოსდის ხოლმე. ასე რომ, მშვიდობით ტიმ.

კარგად დაიწყო ტურნირის ერთერთმა ფავორიტმა ლეიტონ ჰიუიტმა. ოზს ფილიპო ვოლანდრისთან ვარჯიში უფრო გამოუვიდა — მხოლოდ 5 გეიმი წააგო და კარგადაც გახურდა.

პირველი დანაკლისია განთესილებში. ეს „საპატიო" მისია საკუთარ თავზე ნიკოლაი დავიდენკომ აიღო და ალეხანდრო ფელასთან დაყარა ფარ-ხმალი. რუსი რომ ბალახზე კარგად ვერ თამაშობს, საიდუმლო არ არის, მაგრამ ერთიორი წრის გავლა თუ გაუჭირდებოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო. სამშაბათიდან თამაშის გადმოტანამ სლავზე არც ისე კარგად იმოქმედა. თანაც კოლია ბატონი ალბათ მარცხენა ფეხზე ადგა, თორემ აბა, რას უნდა დავაბრალოთ, რომ მესამე სეტში 5:2 იგებდა და ტაიბრეიკზე წააგო. ამის შემდეგ რუსს ბრძოლის თავიც აღარ შერჩა.

AFP ლონდონიდან

ტიმ ჰენმანი მშობლიურ პუბლიკას გამოემშვიდობა

მეორე დიდ დანაკლისად კინაღამ იქცა ივან ლიუბიჩიჩი, რომელმაც ოთხსაათიან ტრილერში მაინც მოახერხა ფელიციანო ლოპესის გატეხვა.

პარადოქსია, მაგრამ ძლიერი მოწოდების მქონე და ბადესთან ძალიან კარგად მოთამაშე ხორვატი აქამდე უიმბლდონზე ყოველთვის ცუდად თამაშობდა. არადა, „ჩაწოდე, ბადესთან გაიქეცი" ყველაზე კარგად ბალახზე უნდა გამოსდიოდეს. გუშინაც ასე იყო — ბალკანელმა ფაქტობრივად მოგებული მატჩის სადავეები ხელიდან გაუშვა და ლოპესს საქმე მეხუთე სეტამდე მიაყვანინა. ბალახზე თამაშის მოყვარულ ამ ერთადერთ ესპანელს კი აქამდე უიმბლდონზე არც ერთი ხუთსეტიანი მატჩი არ წაეგო.

თითქოს ხორვატისთვის ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ არა — ლიუბიჩიჩს უფრო მყარი ფსიქიკა აღმოაჩნდა და ამიტომ ლონდონში სწორედ ის დარჩება.

საოცრება შემოგვთავაზეს ქალთა ფავორიტებმა — ამელი მორესმომ, ვინუს უილიამსმა და მარია შარაპოვამ ისეთი სისწრაფით და ფაცხაფუცხით მოუგეს თავიანთ მეტოქეებს, კაცი იფიქრებდა, ეშმაკები მოსდევენ და კორტიდან გაქცევა ეჩქარებათო.

თან თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ნაკლებ გეიმს დათმობდა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: შარაპოვას მესამე ადგილი ერგო, რადგანაც ორი გეიმი წააგო, „ვერცხლისმედალოსანი" უილიამსი გახდა — მან მხოლოდ კინკილა გეიმი დათმო; გამარჯვებით კი მხარბეჭიანმა ფრანგმა მოიგო, რომელმაც ნულზე გაყინა „მისტერ ჩელსკის" უღბლო თანამოგვარე, მაგრამ არა თანამემამულე ივანა აბრამოვიჩი.

„არ ვიცი, რა მომივიდა, უბრალოდ, ყველაფერი გამომდიოდა. ალბათ მეტოქის სისუსტის ბრალიც იყო, მაგრამ ეს მაინც ჩემ მიერ უიმბლდონზე ნათამაშები ერთერთი საუკეთესო შეხვედრა გახლდათ" — თვითონაც საკმაოდ გაკვირვებული ჩანდა მორესმო.

შეიძლება, სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ გუშინ მორესმოზე იოლადაც მოახერხეს შემდეგ ეტაპზე გასვლა. ეს კიმ კლაისტერსმა შეძლო, რომელსაც კორტზე გასვლაც კი არ დასჭირვებია — მისმა მეტოქემ რაღაც ვირუსის გამო ვერ შეძლო თამაში.

ერთი კია — ზემოთ ნახსენები სამეულისგან განსხვავებით, ბელგიელი უკვე მესამე წრეშია.

ბაბა ლომაშვილი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ზაზა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00